ვიქტორ ცერცვაძე



ზემოიმერელი კაცის ჩანაწერები

ვიცი, უხერხულადაც ჟღერს და არც არავინ ასე არ იგონებს მშობელს, მაგრამ ცდუნებასა და ჭეშმარიტებას ვერ გავექეცი. მაინც ასე ვიწყებ: ძალიან კარგი მამა მყავდა, კაცთმოყვარე, კეთილი, სხვაზე მზრუნველი და მოფიქრალი, რა ვასიამოვნოო, ერთგული და სანდო მეგობარი, მშვენიერი თანამესუფრე (მღეროდა კიდეც დიდებულად), მხიარული თამადა, მოამაგე ბაბუა და, რაც მთავარია, თავდაუზოგავი მშრომელი.

ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში, ხოლო ოთხკლასიანი კაცხში. 1916-1921 წლებში სწავლობდა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში, მიიღო მემანქანის დიპლომი. სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1930-იან წლებში ხელმძღვანელობდა „სამტრესტის" საგეგმო-საფინანსო განყოფილებას. 1938 წელს გადაიყვანეს პირველი შამპანური ღვინოების ქარხნის საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგედ. მამას არავინ ჰყოლია ხელის გამმართველი, ბიძგის მიმცემი, მრჩეველი და წინამძღოლი. თვითონ გაიკაფა ცხოვრების გზა იმ მეტად მძიმე, შიდა და გარე ომებითა და რევოლუციებით გადატვირთულ ბობოქარ პერიოდში. 69 წლისა ავად გახდა. სახლიდანაც კი ვერ გამოდიოდა, რასაც მწარედ განიცდიდა. ერთ დღესაც გამომიცხადა, ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა, მხოლოდ გაწვალებთ, რალასთვის უნდა ვიცხოვროო. ამ ნათქვამმა შემძრა და შემაშფოთა. მან, ვინც წარმართავს ჩვენს ცხოვრებას, გონება გამინათა და მათქმევინა: „მამა! შენ ხომ უაღრესად რთული და საინტერესო ცხოვრება განვლე! დაჯექი და გადაიტანე ყველაფერი ქაღალდზე. შენ როგორც ჰყვები, სასიამოვნო და საინტერესო მოსასმენია". – მართლა მეუბნები, თუ ჩემს გასამხნევებლად მოიფიქრე ეგ, რაც მითხარიო. თავი ვერ შევიკავე, მოვეხვიე, ვაკოცე.

მეორე დილითვე ჩაუჯდა მოგონებების წერას. პირველ ჩანაწერს, 1969 წლის 1 იანვრით დათარიღებულს, დღიურის სახე აქვს. როგორც ჩანს, ამ გზით ცდილობდა მიახლოებოდა განვლილი ცხოვრების აღწერას... წელიწადზე მეტ ხანს ვერ გაგრძელდა ეს წამოწყება. ბევრი რამ დარჩა გადაუტანელი ქაღალდზე. სიკვდილმა მოუსწრო და დაუსვა წერტილი მის სიცოცხლესაც და მის ჩანაწერებსაც...

ნოდარ ცერცვაძე

დავბადებულვარ დედულეთში, ჭიათურიდან ჩრდილო-დასავლეთით ოთხიოდე კილომეტრზე მდებარე სოფელ რგანში, 1900 წელს. იმ დროს ოჯახს ბიძაჩემი მარკოზი უძღვებოდა, თუმცა სიმონ ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ბუნდოვნად მახსოვს ბაბუას სახე. სასიამოვნო მოხუცი იყო, პურადი, სტუმარი მისთვის დიდი სიხარულის მომტანი გახლდათ და ღვინოსაც ეძალებოდა. ვენახიც სანაქებო ჰქონდა – დიდძალ ღვინოს აყენებდა, სანამ ფილოქსერა გაჩნდებოდა ზემო იმერეთში. კარგად მახსოვს ძველი ვენახის (ასე ვეძახდით დაუმყნელ ვაზს) მსხმოიარობა და გემო, სხვადასხვა ჯიშის ვაზი: რკო, ქვიშხური, კუნძა, ძველშავი, საფერავი.

კარ-მიდამო დაბალ გორაკზე იყო გაშენებული. სახლის ირგვლივ მიწა თითქმის ხუთ ჰექტარს აღწევდა. ნაწილზე ვენახი იყო გაშენებული, უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო დანარჩენი სახნავ-სათესს წარმოადგენდა.

ბიძაჩემი ზემო იმერლის კვალობაზე წელგამართულ გლეხად ითვლებოდა. ბატონიდან თავდახსნილი იყო, სიმინდი და ღვინო სამყოფი მოსდიოდა და ერთი მოჯამაგირეც კი ჰყავდა. ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო – ხუთი ქალი და ერთი ვაჟი. ამას ვემატებოდით მე და მამაჩემი, რომელიც მოსაზღვრე სოფელ ვაჭევიდან იყო. ცოლის მოყვანის დროს ოჯახი გაყოფილა. მამას ერთი ბეღელი შეხვედრია. სანამ სახლის შესაძენ ფულს შეაგროვებდა, ოჯახით ცოლისძმასთან ცხოვრობდა.

აქ დედაჩემი სტუმრად არ გრძნობდა თავს და მეც დიდი სიყვარულით ვიყავი გარემოცული. ამაში დიდი ამაგი მიუძღოდა ბიცოლაჩემს, ხათუნას, მიქაუტაძის ქალს, სოფელ ჭალუანიდან. ოჯახიდან მოსდგამდა ტაქტი, სიდარბაისლე, გულისხმიერება, სიფაქიზე და შრომისმოყვარეობა. მისგან ვერ გაიგონებდით წყევლას, გაანჩხლებასა და გაკაპასებას, ყოველთვის და ყველაფერში თავშეკავებული იყო, დინჯი და წინდახედული.

საქმე ვაჟკაცურად ემარჯვებოდა – წალდით ხელში შემოუვლიდა მთელ გარემოს და სადაც რაგვი და ღობე გარღვეული დახვდებოდა, იქვე შეაკეთებდა. სამზარეულოს საქმეც ეხერხებოდა – არ დაკლავდა, თორემ საქონლის ან ღორის აქნას (აფელიკებას) არავის დაანებებდა, ხოლო მის ნახელავს, ყველა აღნიშნავდა, სიკეთე, მარილი და მადლი ზედ ეტყობოდა. სტუმარს არ აგრძნობინებდა ოჯახში მამაკაცის არყოფნას, სუფრას უთამადებდა და, თუ შეატყობდა, სტუმარი ღვინოს ეძალებოდა, გულს არ დასწყვეტდა, ყურიან ჭიქას და ყანწსაც კი დაატრიალებდა, მაგრამ ის შეზარხოშებულიც კი არასოდეს არავის უნახავს. აი, ამ ადამიანს ვუმადლი, რომ დედაჩემს არასოდეს უთქვამს საყვედური ჩვენი ოჯახის სხვის კარზე ყოფნის გამო. პირიქით, დიდი სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე იმ დროს, მაშინდელ ამბებს. არასოდეს შემიმჩნევია დედისთვის სხვის კარზე მცხოვრები ღარიბი ნათესავის გულისტკივილი, თუმცა კი მეტად მგრძნობიარე იყო.

თალწინ მიდგას ჩემი დედული: ეზო-კარმიდამო, ვენახი, ჭურისთავი, მარანი, კალო, საბძელი, წყაროები, ტყე, საყანეები.

ჩვენს სამოსახლოს სამი წყარო ჰქონდა: ნიგვზნარის, მინდვრისა და ღარისწყალი. პირველი ორი ზაფხულობით ძლიერ კლებულობდა ან სულ შრებოდა, ხოლო უკანასკნელი ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად მოედინებოდა.

მიყვარდა ბიძაჩემის კუთვნილი ტყე. აშოლტილი წაბლის ხეების ქვეშ ფოთლების ხალიჩა იყო გაფენილი. ტყის ნაპირებში თხილის, ზღმარტლისა და ასკილის ბუჩქები ხარობდა. წაბლნარი დაბალ, მომრგვალებურ გორაკზე გადაქოჩრილიყო. ჩვენი ეზოდან გორაკის ეს ნაწილი ცხოველის ზურგს მოგაგონებდათ. ამიტომ დაურქმევიათ წაბლარის ზურგი.

ბიძაჩემი მხოლოდ დაფუღუროებულ, შემხმარ და დაზიანებულ ხეებს არჩევდა და ჭრიდა შემოდგომობით. საღ და მოზარდ ხეებს მზრუნველად უვლიდა, შემხმარ ტოტებს აჭრიდა და გვერდით თუ უხეირო რამ ბუჩქი ან ხე იყო, იმასაც მოაშორებდა. ტყე ისეთი გამოწალდული და გასუფთავებული იყო, რომ შეხვიდოდი, გამოსვლა აღარ მოგინდებოდა. ხშირად მინატრია, ნეტავი ფრინველი ვიყო და ამ ტყეში მაცხოვრა-მეთქი. შემოდგომობით დიდძალი წაბლი იკრიფებოდა, ტომრებს ვავსებდით დაკრეჭილი ბურძგვებით, გამოვიტანდით, სახლის გვერდზე დავყრიდით რამდენიმე დღით. შემდეგ კი გავარჩევდით და საზამთროდ ვინახავდით.

ვენახის თავში ორი დიდი კაკლის ხე იდგა და ზაფხულობითაც, თუნდაც სიცხე ყოფილიყო, კაკლების ქვეშ გრილოდა. ხშირად მთელი ოჯახი ისვენებდა აქ ძირს დაგებულ ფარდაგებსა და ჭილოფებზე. კაკლის ხეებზე საქანელასაც გვიმართავდნენ. ვენახის ბოლოს ხშირი ტყე ეკვროდა. აქ მუხა, წიფელი, რცხილა და ნეკერჩხალი იზრდებოდა, ბუჩქნარიდან – თხილი, შვინდი, ასკილი, კუნელი. გაზაფხულზე პირველად რილო აქ გამოჩნდებოდა. წყლის დასალევად გამორეკილი საქონელიც მიწას პირველად აქ დაინახავდა, ბღავილს დაიწყებდა და რქებით აჩიჩქნიდა დიდი ხნის თოვლქვეშ ნამყოფ, ნაზამთრალ მიწას. ბავშვებსაც ძალიან გვახარებდა დიდთოვლიანი ზამთრის შემდეგ მიწის გამოჩენა. პატარა მორაკრაკე ნაკადულებს ვეალერსებოდით. ჩალისგან გაკეთებული წისქვილის ბორბლების ბზრიალს ხომ თვალს ვეღარ ვაშორებდით და სულ ახალ-ახალს ვაკეთებდით. ამ ბუჩქების ძირას პირველად იფეთქებდა ყოჩივარდა, ია, ენძელა. ამ დროს „წაბლარის ზურგზე" ისევ დიდი თოვლი იდო.

ბიძაჩემი მარკოზი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. არც რაიმე ხელობა უსწავლია. მხოლოდ ხვნა-თესვითა და ვაზის გაშენება-მოვლით გადაეწყვიტა ცხოვრება და ოჯახის შენახვა. პურმარილი უყვარდა, მაგრამ უანგარიშოდ ხელგაშლილი არ იყო. სტუმარს, რომელიც ორ დღეზე მეტხანს შეყოვნდებოდა, უთუოდ ამუშავებდა: ბარვაზე, თოხნაზე, ღვინის გადაღებაზე ან შეშის დამზადებაზე. ერთი სიტყვით, საქმეს გამოუჩენდა და თან ხუმრობით ჩაულაპარაკებდა: „აბა, მარტოკა ხომ არ დაგტოვებ ამ კერიასთან, შეკაცო! მოგწყინდება, მუშაობაში გაერთობი და თანაც ვიმუსაიფებთ".

მშრომელი კაცი იყო, ოღონდ მძიმე და უდიერ სამუშაოს ერიდებოდა. ღვინის ზედმეტი სმა ეჯავრებოდა, სიმღერა არ ეხერხებოდა, მაგრამ მოსმენა უყვარდა, გულიანი სიცილი იცოდა. ზამთრობით, როცა დიდი თოვლის გამო გარეთ მუშაობა ვერ ხერხდებოდა, ვერ ისვენებდა: ან წისქვილის ბორბალს, ან ურმის თვალს, ან კიდევ ურმის ზედადგარს აკეთებდა. ეს ყველაფერი თვითნასწავლი ჰქონდა. ყოველგვარი იარაღი გააჩნდა. ერთხანად, 5-6 წლის ვიქნებოდი, აიკვიატა, ეზოში ისეთი წისქვილი უნდა გავმართო, რომ ქალმა ცალი ხელით ან ფეხით აბრუნოსო. როგორც ახლა ვხვდები, ეს აზრი მაშინ გაუჩნდა, როდესაც ჩვენს ახლოს, ჭალაში, იქ, სადაც მდინარეზე წისქვილი გვქონდა, აშენდა მარგანეცის გამამდიდრებელი ქარხანა ჩერნიავსკის მიერ; დღეისათვის სრულიად პრიმიტიული, იმ დროისთვის დიდად მექანიზებულად გამოიყურებოდა. ბიძაჩემმა დაიწყო მექანიზმების გაცნობა. დაინტერესდა კბილანების, ბორბლებისა და მქნევარების მოქმედებით. ვფიქრობ, რომ ზოგი რამ აუხსნეს ძმებმა კიკვაძეებმა,რომლებიც მექანიკოსად და მემანქანედ მუშაობდნენ. მთელი ზამთარი,დილიდან საღამომდე, ხშირად ლამპის შუქზეც მუშაობდა და გააკეთა წისქვილი, მაგრამ როგორსაც ფიქრობდა, ისეთი არ გამოუვიდა, თუმცა მაინც კმაყოფილი იყო. ამ წისქვილზე ვღერღავდით სიმინდს, ვფქვავდით მარილს. მართალია, ორი კაცი ვატრიალებდით, მაგრამ ბიძაჩემის ჩანაფიქრი, ეხლა რომ ვუკვირდები, ერთობ ორიგინალური იყო. მას რომ განათლება ჰქონოდა, ბევრ საინტერესო რამეს შექმნიდა, რადგან დიდი შრომის უნარი ჰქონდა.

ცერცვაძეები

ჭირივით ეჯავრებოდა თამბაქო. აღშფოთებული იტყოდა ხოლმე: „ჭკუათმყოფელმა კაცმა თავად რავა უნდა დაწვას სიმწრით ნაშოვნი ფულიო". ან კიდევ: „რა ძალა ადგას ამ ოჯახაშენებულს, თავს რო იღრჩობს ამ მყრალი თუთუნის კვამლითო".

დედაჩემი სამ დასა და ერთ ძმას შორის ყველაზე უმცროსი ყოფილა და ყველაზე დიდხანს შემორჩენილა მამის ოჯახს. ბიძაჩემს მისდამი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა, გამორჩეულ პატივს სცემდა. ერთმანეთს ბიჭოს და გოგოს ეძახდნენ. მამაჩემმა საკუთარი სახლი რომ დაიდგა ვაჭევში, ორ კვირაში ერთხელ მაინც გამოვიდოდა ხოლმე ჩვენთან და ყველა ჩანაფიქრსა და წამოწყებულ საქმეში მონაწილეობდა.

ასეთი გულთბილი ნათესაური ურთიერთობა გრძელდებოდა მანამ, სანამ ბიძაჩემი ერთ მშვენიერ დღეს უეცრად არ გამდიდრდა და 700 მანეთად მამისეულ სოფელში ერთი ხის სახლი შეიძინა, რომლის ერთი ოთახი იყო გამართული, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი – უჭერო და უიატაკო. წვრილშვილის პატრონმა ვეღარ შეძლო სახლის დამთავრება და ასე დაუმთავრებელი გადავცვალეთ 1922 წელს მამაჩემის ბიძაშვილის – მახარას სახლსა და სამოსახლოზე.

დედა

დედაჩემი საშუალო სიმაღლის,მოხდენილი და ლამაზი ქალი იყო. კარგი შესახედაობისა და მდიდარი ოჯახის შვილს მრავალი მთხოვნელი ჰყოლია, მაგრამ მამაჩემს შეყვარებია და გასაქანი არ მიუცია: „სადაც უნდა ვყოფილიყავი, სტუმრად, ეკლესიასა თუ თემში, უცებ აგერ არ გამოჩნდებოდა?!" ამნაირმა თავდადებამ დედაჩემის გულიც მოალბო და მოინადირა. ქმარ-შვილზე გადაგებული იყო, ხელსაქმის, ჭრა-კერვისა და ნამზადის შეუდარებელი ხელოვანი. ჩემი ბიძაშვილები და ჩვენი უბნის გასათხოვარი ქალები დედაჩემთან მოდიოდნენ და სწავლობდნენ მჭადისა და კეცის პურის გამოცხობას, შეჭამადის მომზადებასა და ხელსაქმეს.

დედას ჰყოფნიდა სიდარბაისლე, მოთმინება და ტაქტი მოწიფული ქალების სწავლებისთვისაც. მახსოვს, ნახშირით გასახურებელი უთო ჩვენ გარდა ალბათ ღვდლისანებს და თერძ გრიგოლიას თუ ჰქონდათ კიდევ. უთოს ხმარებაც არავინ იცოდა. საიდან არ მოჰქონდათ კაბები და ტანსაცმელი ქალებს გასაუთოებლად.

დედას ყოველთვის სანიმუშო და საუცხოოდ მოვლილი ბოსტანი ჰქონდა. ეს მამასაც მოსწონდა და ამიტომაც საბოსტნე ნაკვეთი ყოველთვის დროზე შეირჩეოდა, შემოიღობებოდა და უსიტყვოდ დაიბარებოდა. სხვა სოფლებიდან მოწვეულ სტუმრებს არ სჯეროდათ,რომ ასეთი ნავარგი მწვანილი ჩვენვე მოგვყავდა. თესლსა და ჩითილებს დედა მთელ უბანს ამყოფინებდა, არავის დაუკავებდა, პირიქით, როცა შესაფერისი დრო და ამინდი დადგებოდა, თვითონ შეახსენებდა მეზობლებს. ზამთარ-ზაფხულ ჩვენი ბოსტანი მწვანედ ღაღანებდა. სუფრა უმწვანილოდ არ გაიშლებოდა. რაც უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო, დიდთოვლობაშიც, მამა მწვანილს უსათუოდ მოიტანდა.

სოფლად დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ბავშვების ჩაცმის ლაზათს. დედა ამ მხრივაც სამაგალითო იყო. იმდენად გამოვირჩეოდით მოვლითა და ჩაცმით, რომ აზნოურისშვილები შეგვარქვეს.

დედამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ რასაც გაიგონებდა და თვალს მოჰკრავდა, კარგად იმახსოვრებდა. ნათელი აზროვნება ღრმა მოხუცებულობამდე შემორჩა. ლაპარაკსა და მოქმედებაში ერთნაირად მორიდებული იყო, როგორც გარეშეთა, აგრეთვე შინაურებისადმი.

დედა მტკიცედ იცავდა ეკლესიურ ადათ-წესებს. ღმერთის სიყვარულს შვილებსაც გვინერგავდა. თვითონ ყოველ დილით და დაძინების წინ ლოცულობდა. დედის ასეთი ღრმა რწმენა ჩვენზე ძლიერ მოქმედებდა, მაგრამ მამის გულგრილობამ სარწმუნოებისადმი და ხშირად მის მიერ ღმერთის არსებობაში დაეჭვებული აზრის გაკვრით გამოთქმამ, ცოტა კი შეასუსტა ჩვენი ნორჩი რწმენა ღვთისადმი. დიდი ბრძოლით მიაღწია მამამ, რომ მარხვაში ბავშვებისთვის რძე, კვერცხი და ხორცი მიეცათ საჭმელად. მას შემდეგ, რაც ჩვენი სოფლის ეკლესია დაანგრიეს და მისი ქვებით სასილოსე კოშკი ააშენეს, დედამაც გატეხა მარხვა. მამა ხშირად ეტყოდა ხოლმე: ,,აბა, როგორ გინდოდა, შექალო, მარტო რა გაგაძლებინებდა სამოთხეშიო''.

დედა დაირისა და გარმონის ჩინებული დამკვრელი იყო,სიმღერისთვის კი სმენა ღალატობდა. არც მამა იყო სმენით დაჯილდოვებული. თუმცა შვილებს დედ-მამის იავნანა საათობით შეგვეძლო სულგანაბული გვესმინა. რამდენჯერ ტკბილად ჩაგვძინებია მათ აუწყობელ, სიყვარულით სავსე გალობაში.

დიდება თქვენს სიყვარულს, თქვენს ოცნებას, თქვენს თავდავიწყებით შრომასა და მომავლის შეუდრეკელ რწმენას.

რგანი

შვიდი წლის ასაკამდე, სინორჩეში რაც ჩამრჩენია მახსოვრობაში, სულ სოფელ რგანთანაა დაკავშირებული. საკვირველია ადამიანის მეხსიერება! ხსოვნაში რჩება ცალკეული ეპიზოდები, ნაფეხურებივით, ზოგი ღრმად და ზოგი უფრო ზერელედ.

რა მახსოვს რგანიდან? ვანო კავთელაძის სახლი რომ იწვოდა ალიხანოვის რაზმის შემოსევის დროს. დიდი და პატარა დავფრთხით. ლოგინი, ტანსაცმელი, ნოხ-ფარდაგი, წიგნები და სხვა მრავალი წვრილმანი, ცარიელ ქვევრებში ჩაუყრიათ და ზევიდან მიწის სქელი ფენით დაუფარავთ. ერთი დიდი ქვევრი გაბზარული ყოფილა, წყალი შესულა. ნოხების საღებავები წყალს გაუხსნია და ყველაფერი წითლად შეუღებავს. მახსოვს,წიგნებს კეცებით ცეცხლზე მიფიცხებით აშრობდნენ.

დამსჯელი რაზმი ბიძაჩემის ეზოში არ შემოსულა, რადგან ამ უბანში ,,ახალთაობის'' მომხრეები არ იყვნენ. ბიძაჩემი, მარკოზი, ერთობ სკეპტიკურად იყო განწყობილი რევოლუციისადმი და დაუფარავად გაიძახოდა,– ვაჭვეველები რავა მეერევიან რუს ხელმწიფეს,შეკაცოო. ან კიდევ,– ვანო კავთელაძე და სამსონა პაჭკა რაფრა გოუძღვებიან რუსეთის სახელმწიფოსო! ერთხელ ჭიათურიდან მობრუნებულს მამაჩემისთვის უამბნია, – თქვენებური ზარასპია უზანაშვილი შემხვდა, ხარი მიყავდა გასაყიდად. ვკითხე, რავა არი, ზარასპი, ქვეყნის ამბავი-მეთქი. იცი, რა მითხრა? ნიკოლოზას ტახტს სამი ფეხი გამოვაცალეთ და ახლა ერთ ფეხზეღა დგას, ცოტა კიდევ და გადმოყირავდება თავდაღმაო. ამას ამბობდა და თან სიცილით იხრჩობოდა. მერე ვკითხე ზარასპიას, ხარს რატომ ყიდი-თქვა. ასე მიპასუხა, საწისქვილო უნდა ვიყიდოო. კაცო, თუ ასეთი საწისქვილო იყიდება შენ სოფელში, შენ გეყიდა. მამაჩემს გაეღიმა და უთხრა – სიმინდი შემოლევია საცოდავს და მის შესაძენად ყიდის ხარსო. ბიძაჩემი გადაფიჩინებულა სიცილით: უყურე ახლა შენე იმ ვირეშმაკას, რავა გამაცურა ამ ხნის კაცი? ფიცი რომ ეთქვა, წაგებულს მაინც არ უწევდა, სიმინდიც ხომ საწისქვილოა. ხოდა,



მშობლები

ეს მშიერ-მწყურვალი და ღარიბ-ღატაკები ფიქრობენ ხელმწიფის გადმოგდებას? დასაჯერებელია ახლა ესე? თქენებურები თურმე აშკარად ამბობენ, ღმერთი არ არისო, ბიჭო, ამ ღმერთთან მაინც რაღა უნდათ მაგ ურჯულოებს! ამას წინათ სამსონა პაჭკამ იცი, რა თქვა? ღმერთი დაბერდაო! ასეთი რამე კაცის პირიდან ამოსაშვებია? ღმერთო ნუ გვიწყენ, ღმერთო შეგვინდე! თქვა მარკოზმა,მაღლა აიხედა და პირჯვარი გადაიწერა.

1905-1907 წლების რევოლუციის ამბები ჭიათურაზეც აღიბეჭდა. აქ დიდძალ დაქირავებულ მუშას მოეყარა თავი. მათი დაუზოგავი და შეუბრალებელი ჭაპანწყვეტა დღეში 18-19 საათი გრძელდებოდა. საათს ვინ უყურებდა? გამთენიისას შესული, სანამ არ დაღამდებოდა, მაღაროდან ვერ გამოვიდოდა. მაზუთის ჭრაქების ბოლში იხრჩობოდნენ. დასვენება მხოლოდ პაპიროსის მოსაწევად და პურის საჭმელად შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ მაღაროს ყველა მუშა თამბაქოს წევას იწყებდა.

სოფელი რგანი ზედ ჭიათურაზეა მიბმული. ამიტომ რევოლუციის გავლენა და ახალ მოძრაობაში დაკვალიანება ამ სოფელში მცხოვრებთ მეტად უნდა დასტყობოდათ. თუმცა ახალგაზრდობა განზე იდგა – ღვინის სმითა და კარტის თამაშით ერთობოდა. არ მახსოვს, ოჯახში ან თავშეყრებზე მსჯელობა ყოფილიყოს რევოლუციაზე. ბიძაჩემი ბუნტოვშჩიკებს ეძახდა რევოლუციონერებს. როგორც გვიან გავიგე, იგი და მისი რამდენიმე მეზობელი ამ ბუნტოვშჩიკებმა გვარიანად შეაჯანჯღარეს და ამგვარი ლაპარაკის მადა გაუფუჭეს. თურმე ამის გამო იყო, რომ ახალთაობის საქმეზე მისგან და მისი ოჯახის წევრებისგან ვერც ავს და ვერც კარგს ვეღარ გაიგონებდით.

კარგად მახსოვს, როგორ ვნახე პირველად მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკა. მამაჩემი მუშაობდა მადნის მიწოდების მომწესრიგებლად – რკინის კეტით ამსხვრევდა დიდი ზომის ნატეხებს,რომ ბუნკერი არ გაჭედილიყო. ჩემს ბიძაშვილებს მამაჩემისთვის ყოველდღე ჩაჰქონდათ სადილი. ერთხელ მეც წამიყვანეს. შემომეხვივნენ იქ მომუშავენი, ყველა მეალერსებოდა, მაგრამ ხელით ვერ მეხებოდნენ, რადგან გაშავებულები იყვნენ და მხოლოდ კბილები უჩანდათ თეთრად. ფაბრიკის უჩვეულო გრუხუნმა შემაცბუნა და ცოტა შემაშინა კიდეც. მბრუნავმა დაზგებმა თვალი მომტაცა და გამაშტერა. მხოლოდ მამის გამოჩენამ მომაგო გონს.

ბიძაჩემის კარმიდამოდან სულ რაღაც ნახევარ კილომეტრზე იყო ერთი სამოსახლო, რომელშიც რამდენიმე ერთსართულიანი სახლი იდგა, მათ შორის ერთი ყველაზე დიდი, გრძელი აივნით. სოფელში იმით გამოირჩეოდა ეს სახლები, რომ გარედან და შიგნიდან შეღებილი იყო. „ღოღობერიძეების სასახლეს" ეძახდნენ. ზამთარში უკაცრიელი ხდებოდა, ხოლო ზაფხულობით რამდენიმე თვით ცოცხლდებოდა. ჩამოდიოდნენ: ორი ქალი – ერთს თამარი ერქვა, მეორეს – კატო, 13-14 წლის ვაჟი, სახელი არ მაგონდება, და ერთიც ჩემი ტოლი ელენე.

კვირაში ერთხელ ეს ოჯახი მთელი შემადგენლობით სტუმრობდა ბიძაჩემს. ელენეს პატარა ცხენი მოჰყავდა, რომლის დანახვა მთელი სოფლის ბავშვებს ამხიარულებდა, მასზე შეჯდომა კი განუხორციელებელი ოცნება იყო ყველასთვის. მხოლოდ მე მარგუნა ბედმა ამ ცხენზე ამხედრება, ოღონდ ელენესთან ერთად, ვინაიდან ასეთი იყო განებივრებული გოგონას სურვილი. სოფლის გოგო-ბიჭებიდან ჩემ გარდა ახლოს არავის იკარებდა. დილით გამოიღვიძებდა და უეცრად მოისურვებდა ჩემს მიყვანას სასახლეში. მომართმევდნენ ცხენს, შემსვამდნენ, წამიყვანდნენ და ხშირად დაძინებამდე არ მიშვებდა, ეტყობა, კარგად ერთობოდა ჩემთან თამაშით და, რაც მთავარია, მადიანად შეექცეოდა საჭმელს. გამხდარი გოგონა იყო. უფროსებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ბავშვს ეჭამა.

ჩანს, მე ისე მადიანად შევექცეოდი სოფლელი ბიჭისთვის უცხო, მსუყე და გემრიელ საჭმელებს, რომ ელენესაც მადას ვუღვივებდი. გაიზარდა ჩემი ჩაცმისა და სისუფთავისადმი ოჯახის წევრთა ყურადღება, სირცხვილი რომ არ ეჭამათ ასეთი პატივსაცემი ოჯახის წინაშე. ერთი სიტყვით, ელენემ დიდ პატივში ჩამაგდო. ღოღობერიძეების ოჯახს ორი-სამი რუსი ჯარისკაცი მუდმივად ემსახურებოდა. ალბათ ამ ოჯახის უფროსი დიდჩინოსანი სამხედრო მოხელე იყო. მოგვიანებით

ბიცოლა ხათუნა მიამბობდა, რომ ეს ბესარიონ ღოღობერიძის[1] ოჯახი იყოო და უცნაურ ტრაგიკულ ამბებს იხსენებდა. ეს პიროვნება ცნობილი ქართველი მოღვაწე გახლდათ. დღემდე ვერ შევძელი საფუძვლიანად გამერკვია, თუ როგორ აღმოჩნდა ჯიხაიშელი ღოღობერიძე რგანში და რა ბედი ეწია მათ ოჯახს. ან ის პატარა ელენე გაიზარდა, დაქალდა თუ ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან? ,,ვახ, სოფელო...''

ხშირად მგონია,რგანი ვაჭევზე უფრო მიყვარს. თუ შევძელი მოგონებების ბოლომდე დაწერა,არაერთხელ მივუბრუნდები რგანს,მაგრამ ეხლა უკვე სკოლაში წასლის დრომ მოაწია და ვაჭევში უნდა გადავსახლდე, სადაც მამაჩემს უკვე სახლი უდგას, ბელელი, სასიმინდე, კორომი, საღორე და საქათმე.

ვაჭევი

სანამ საკუთარ სახლს აიშენებდა, ერთ-ერთ ძმას, დანიელს შესახლებია მამაჩემი. დანიელი უშვილო იყო. ჩვენივე გვარის წვრილშვილიანი კაცის, ნიკოლოზა შოშნიკიშვილის გოგონას, თედოსის ზრდიდა. მაშინ იგი უკვე გასათხოვარი ქალი იყო, რომელიც ყველა ბიძაშვილზე მეტად მიყვარდა. გვიან გავიგე, რომ ბიძაჩემის ღვიძლი შვილი არ ყოფილა, მაგრამ ამას ჩემი სიყვარული ოდნავადაც არ გაუნელებია. დღემდე შემომრჩა გულში მისი კეთილი სახე, აღტაცებული შეხვედრა, სიხარულის ცრემლები.

ბიძაჩემ დანიელთან ცხოვრების დროიდან ორი ამბავი შემომრჩა.

1905 წლის ზაფხული იქნებოდა. ცხელოდა. სოფლის ეკლესიის ეზოში დანიშნულ მიტინგზე რამდენიმე საზოგადოება შეიკრიბა. ასე ეძახდნენ ეხლანდელ სოფლსაბჭოებს. შუადღე არ იქნებოდა, რომ ქუდზე კაცი შეიკრიბა. ხალხით აივსო მთელი შუა სოფელი. საყდრის ეზო რას დაიტევდა ამოდენა ხალხს. ქალები და ბავშვები გამოფენილიყვნენ შარის პირას. პატარები ღობეებზე, ყორეებსა და ხეებზე ვიყავით აჩურჩხული. ეს ზღვა ხალხი უეცრად შედგა, მწკრივად დაეწყო და გამოემართა. გზა ჩვენს ეზოსთან გადიოდა. ხალხი კარგად ჩაცმული იყო, უმთავრესად ჩოხა-ახალუხში, ისე როგორც სტუმრად წასვლისას იცვამდნენ, თავზე ზოგს ჩაბალახი, ზოგს ფაფანაკი, ზოგს ბოხოხი, ზოგსაც შლაპა ან კეპი ეხურა. მწკრივები ფეხაწყობილები მოდიოდნენ. სხვა სოფლებიდან მოსულმა ბევრმა ნათესავმა და ნაცნობმა აიარა ჩვენს სახლთან. ხელს გვიქნევდნენ და გვესალმებოდნენ. ბესია კაპანაძე კი, მამიდა ვარდოს ქმარი თვალცრემლიანი დაგვემშვიდობა, ისე რომ, მწკრივიდან არ გამოსულა (არ შეიძლებოდა): ,,მშვიდობით, აწი თქვენს ნახვას, მგონია, ვეღარც მოვესწრებიო''. ხუცის პეტრემ რამდენიმე ნაბადი გადმოაგდო ჩვენს ეზოში,შეგვინახეთო. ამან ცოტა დააიმედა ჩვენი ქალები, თორემ ბესოს ცრემლების დანახვამ კინაღამ აგვაღრიალაო, იტყოდა ხოლმე ბიცოლა დაფინა.

პირველი კოლონა რომ საბიას ჭიშკართან შეჩერდა, ბოლო ,,კოლონები'' ჯერ ეკლესიის ეზოდან ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. რამდენიმე წითელი დროშაც და ,,მარსელიოზაც''[2] გაისმა.

მღეროდა, ალბათ, არანაკლებ ასი კაცისა. უკანა მწკრივებმაც მისცეს ხმა და მთელ სოფელს მოეფინა სიმღერა. თავი სიზმარში მეგონა. ავყვირდით: ,,გაუმარჯოს ახალ თაობას!'' კოლონები დაიძრა, მარსელიოზას ხმა თანდათან გვშორდებოდა. მიტინგი სოფელ კაცხის წიფელიეთის ეკლესიის ეზოში დაინიშნა. უკანასკნელმა კოლონამაც ჩაგვიარა, ერთხელ კიდევ შევძახეთ ,,გაუმარჯოს!'' და სოფელს ჩვეული სიჩუმე დაეუფლა.

როგორც შემდგომში მისი მონაწილეებისგან დავაზუსტე, თურმე ეს ყოფილა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემონსტრაცია რევოლუციური ძალებისა, რომელიც დიდხანს საიდუმლოდ მზადდებოდა.

[1] ჩვენი აზრით, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ღოღობერიძის ოჯახი. მოხსენიებული სასახლე და მამული, ალბათ, ეკუთვნოდა მეორე, ასევე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ღოღობერიძეს. აკი ბესარიონ ღოღობერიძეს მართლაც არაფერი ჰქონდა საერთო სოფელ რგანთან. რაც შეეხება ნიკოლოზ ღოღობერიძეს, რომელიც ბესარიონის მსგავსად იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მმართველი, მან ორი საარჩევნო ვადის შემდეგ დატოვა ბანკი და მალევე სოფელ რგანში საკუთარ მამულში ჩაება მარგანეცის მოპოვება-დამუშავების საქმეში: პირველ ეტაპზე ეწეოდა მხოლოდ მარგანეცის ექსპორტს ევროპაში, შემდეგ კი ადგილები შეიძინა მღვიმეებში. 11 წლის განმავლობაში დააგროვა დიდძალი თანხა, რასაც უშურველად ახმარდა ქართველი ერის სამსახურს. 66 ათასი მანეთი ანდერძად დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ (ქშწკგს) და საისტორიო-საეთნოგრაფიო (სსსს) საზოგადოებებს. იმასღა დავუმატებთ, რომ ეს ოჯახი, ცხადია, არც დიდჩინოსანი სამხედრო მოხელისა გახლდათ, როგორც ავტორი წერს (რედ.).

[2] მარსელიეზა (ფრანგ. La Marseillaise – მარსელური) – საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე ცნობილი სიმღერა, რომელიც თავიდან იყო რევოლუციონერთა ჰიმნი, ხოლო შემდეგ საფრანგეთის და მოგვიანებით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ჰიმნად გადაიქცა (რედ.).

მიტინგის ადგილად თავიდანვე ჩვენი სოფლის ეკლესია ყოფილა დათქმული,მაგრამ თუ ჯაშუშები შეიტყობდნენ და პოლიციას აცნობებდნენ, დასახული გეგმა იმავე დღეს შეიცვლებოდა.

მეორე შემთხვევა უბრალოა, მაგრამ ვინაიდან მან ხალხური თქმულების ხასიათი მიიღო, დამამახსოვრდა და ჩავთვალე მოყოლის ღირსად.

ახალგაზრდობა ჭიათურაში მუშაობდა. მხოლოდ შაბათობით საღამოხანს ბრუნდებოდნენ სახლში და ორშაბათ დილამდე სოფელში იკრიბებოდნენ ხოლმე. ჭიათურიდან მოჰქონდათ გაზეთები, არალეგალური ლიტერატურა და კითხულობდნენ საჯაროდ. სოფლად დარჩენილებს ატყობინებდნენ ქვეყნის ამბებს, ახალთაობის მოძრაობის განვითარებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიახლეებს. მადა ჭამაში მოდიოდა, ინტერესი თანდათან ძლიერდებოდა. შეიკრიბებოდა თუ არა რამდენიმე კაცი ბუხრის წინ, ან ნაბადურზე (ჩვენი კუთხის სათათბირო მოედანი), საყდრის გვერდით, მზისგულზე, მაშინვე იწყებოდა რევოლუციაზე მსჯელობა. ახალი რევოლუციური სიმღერა გაჩნდებოდა თუ არა, ვაჭველები უკვე მღეროდნენ. ბავშვებიც გუნებაში ხმას ვაყოლებდით და ასე ვსწავლობდით. განვმარტოვდებოდით სადმე მოსახვევში და გიყვარდეს, გახურდებოდა ახალი სიმღერის სწავლა და ვარჯიში. ზეპირად ვიცოდით და კარგად გამოგვდიოდა ,,მარსელიოზა'', ,,მრისხანე ქარი მტრულად გრიალებს''[3], ,,ამისთანა პოლიცია'' და სხვ. მარსელიოზას განსაკუთრებით ხშირად ვმღეროდით და ვიმეორებდით, იმიტომ რომ უფროსები გვიკრძალავდნენ და გვაშინებდნენ, კაზაკები დაგიჭერენო. მე და ჩემი უმცროსი ძმა – ვანოც, მარტო როდესაც ვრჩებოდით შინ, ერთად ვმღეროდით. ოთხი წლის იქნებოდა,ისევ აკვანში იძინებდა. ერთ დღესაც დედამ ჩააწვინა აკვანში,გადააკრა არტახებით და დამიტოვა დასაძინებლად. თვითონ სადილი წაუღო მამას ყანაში. ვანომ მთხოვა, მარსელიოზა ვიმღეროთო. დავიწყეთ. ჩანს, ისეთი ჩართულები ვიყავით სიმღერაში, რომ ვერ შევნიშნეთ, როგორ მოადგა სახლის ღია კარს მეზობელი სოფლიდან სტუმრად ჩამოსული ოთხი ქალი და გვისმენდა. როცა ქალებმა თავშეუკავებელი სიცილი ატეხეს, მაშინღა გამოვერკვიეთ და ცოტა შეგვრცხვა კიდეც. ამ ქალებმა გაიტანეს საქვეყნოდ ამბავი, ვაჭევში აკვნის ბავშვებიც კი რევოლუციურ სიმღერებს მღერიანო. ეს ხმა მთელ რაიონში გავრცელდა და როცა არ იჯერებდნენ, ქალები ხატზე იფიცებდნენ, ჩვენი თვალით ნავხეთ და ჩვენი ყურით გევიგონეთო.

ეს ამბავი გადაგვხდა არაუადრეს 1906 წლისა, როდესაც რეაქცია კიდევ მძვინვარებდა და სოფლებში ბევრი უბანი ცეცხლში გაახვიეს. ჩვენი სოფლის ორი უბანიც შეეწირა რევოლუციას.

გლოველები

ჩვენს სოფელში მე-20 საუკუნის დასაწყისში 300-მდე კომლი ცხოვრობდა. ექვსი კომლი ჭანკვეტაძეებისა, ერთი ბრეგვაძისა და ერთიც კავთელაძის გარდა, დანარჩენები სულ ცერცვაძეები ყოფილან. ერთმანეთისგან გასარჩევად ერთი გვარის კომლები უბნებად დაუყვიათ. სოფელში ბევრი იყო ერთნაირი სახელის მქონე, გვარიც ხომ სუყველას ერთი ჰქონდა და უბნობა ანუ ბაბუისშვილობა რომ არა, რას გაარჩევდნენ ერთიმეორისგან.

ჩვენს მოდგმას, ჯილაგს და ერთი კაცის შთამომავლებს გლოველებს გვეძახდნენ. მოხუცების გადმოცემით, ამ კუთხის სახელის წარმოშობა უკავშირდება ზემო რაჭის სოფელ გლოლას. ჩვენი წინაპარი ნაქერალას ქედზე საწალიკის გადასასვლელით, სოფელ ხრეითის გავლით შემოსულა, უკითხავს, აქ რა გვარის ხალხი ცხოვრობსო და თვითონაც ეს გვარი, ცერცვაძე, მიუსაკუთრებია. გამოცხადებულა ჩვენი მიწა-წყლისა და ტყის ბატონ-პატრონ აბაშიძესთან და მიუღია მისი ყმობა. ძველ საბუთებში ჩვენი სოფელი მოხსენიებული ყოფილა როგორც ნასოფლარი ვაჭევი. დიდი ჭირიანობის დროს სოფლის ნაწილი განადგურდა, ნაწილიც გაიხიზნა. ახალი დასახლება კი გაჩნდებოდა არა უადრეს მე-17 საუკუნისა. დღესდღეობით გაშიშვლებული გორაკები ადრე უღრანი ტყით ყოფილა დაფარული. ბაბუაჩემის ბიძაშვილი კაცია, რომელსაც მეც მოვესწარი, გვიამბობდა, მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში ამ ტყეებში მგელი და დათვი ბინადრობდაო. დღემდეა შემორჩენილი დათვის საცურავი, სამგლია მთა, მაგრამ დღეს ამ ადგილებში მგელი და დათვი კი არა, ჩიტის ბუდის გასაკეთებელი ბუჩქნარიც აღარაა.

<u>დღემდეა</u> შემორჩენილი ლეკიშვილების, ჯაბულაშვილების, ჩიტიაშვილების, დათიკიშვილების,

[3] პირველი სტრიქონია რუსეთში ,,ვარშავიანკად'' წოდებული ცნობილი პოლონური რევოლუციური სიმღერისა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის რევოლუციურ წრეებში მე-20 ს-ის დასაწყისში (რედ.).

ბაგრატიშვილების, მგალობლიშვილების, მეცხვარიშვილების, გლოველების, ავდარაშვილების, გივიშვილების, კაკაჩეების, უზანაშვილების, კვერნაძეების, ძაღლუკიშვილების, პაჭკების, ხელოსნიშვილების, ბუკების, კუნძას, პეტრიკიშვილების, შოშნიკიშვილების, ბერიკიშვილების, ხუცისანებისა და წერეთლიშვილების უბნები.

ჩემს მახსოვრობაში ბაბუაშვილების ზოგი უბანი გამრავლდა, ზოგი კი შემცირდა. მაგალითად, პეტრიკიშვილებიდან და უზანაშვილებიდან თითო კომლიღა შემორჩა. საერთოდ, სოფლის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა ქალაქად გადასახლების გამო. პირველმა და მეორე მსოფლიო ომმაც დიდძალი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა გამოაცალა სოფელს.

სწრაფად გამრავლდა გლოველების უბანი. ბაბუაჩემის მამას – კაციას ხუთი ვაჟი გაუზრდია და დაუცოლშვილებია: კვირია (ბაბუაჩემი), ივანე, ოქრუა, პეტრიკი და დათიკი. ამათ შეეძინათ: კვირიას – მათე, გიორგი, დანიელი, დავითი, კონსტანტინე (მამაჩემი); ივანეს – მახარა და საბა; ოქრუას – იოსები და სისო; პეტრიკს – მარკოზი და მაქსიმე; ხოლო დათიკს – ბესია და ბიჭოლა (ივანე). ამგვარად, მარტო ერთი ძმის ნაშიერი ცამეტი მოსახლე შეიქნა. კაციას ორი ძმა ჰყოლია: ჟუჟიკი და გოგილი. ამათი შთამომავლობაც მე-20 საუკუნის დასაწყისში შვიდ თუ რვა კომლს შეადგენდა. ასე რომ, გლოველები სოფელში ოც კომლამდე იყვნენ, მაშინ როდესაც სხვა უბნებში კომლთა რიცხვი თხუთმეტს არ აღემატებოდა.

სოფელში თავადი და აზნაური არ ცხოვრობდა. ჩვენივე გვარისა გვყავდა მღვდელიც, დიაკვანიც და სამრევლო სკოლის მასწავლებელიც.

მთავრობას წარმოადგენდნენ მამასახლისის ნაცვალი და ერთი გადასახადის ამკრეფი („სბორშჩიკი"). ჩვენი გვარის უკანასკნელ მღვდელს, სპირიდონ ცერცვაძეს, ვაჟი არ შესძენია. ერთი ქალი გაუზრდია და ისიც მახლობელ სოფელში მღვდლად გამზადებულ სპირიდონ ბრეგვაძისთვის მიუთხოვებია. მრევლიც მისთვის დაუტოვებია. ასე და ამგვარად, ჩემს იქ ყოფნაში მხოლოდ მღვდელი იყო სხვა გვარისა.

ბატონი დიდი ივანე აბაშიძე ყოფილა, დესპოტი, დაუზოგავი, მყვლეფელი და მტანჯველი ყმა-გლეხებისა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყმები მიწებიანად გაუყვიათ ივანეს შვილებსა და შვილიშვილებს. ჩვენი სოფლის მთელი მიწა და გლეხობა მიხეილ და გიორგი აბაშიძეებს რგებიათ. 1909 წლამდე ჩამონაჭერი მიწებიდან ნადელის[4] გადასახადს ვაძლევდით ნატურით და ურმებით ვუზიდავდით ყოველი მოსავლის აღების შემდეგ სოფელ დილიკოურში, ჩვენი სოფლიდან 35 კილომეტრზე.

აბაშიძეები განსახლებული იყვნენ შემდეგნაირად: კიტა აბაშიძის მამა და კოსტა აბაშიძე – სოფელ კაცხში, გრიგოლ და ლევან აბაშიძეები – ჯოყოეთში, ხოლო გიორგი და მიხეილ აბაშიძეები დილიკოურში. მიხეილ აბაშიძე ახალგაზრდა გარდაცვლილა. დარჩენია მცირეწლოვანი ვაჟი მიხეილი (მიშა). მიხეილის ქვრივი, ლორთქიფანიძის ქალი, მეორედ გათხოვილა ქვაციხეში მცხოვრებ დავით ჟღენტზე, კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის მამაზე, რომელთანაც რამდენიმე შვილი შესძენია. დავით ჟღენტი მეურვე იყო თავისი გერის – მიხეილ აბაშიძისა. ამიტომ მიხეილის კუთვნილ გლეხებს ნადელის გადასახადი ქვაციხეში მიჰქონდათ. ახალმა თაობამ 1904-1905 წლებში ნადელის გადახდა აგვიკრძალა. დაიწყო რეაქცია. დავით ჟღენტმა დაიქირავა და თავის ეზოში ჩააყენა „სტრაჟნიკები" (ინგუში თუ ავარელი ჩაფრები) გლეხებისგან ოჯახის დასაცავად.

მამაჩემი და ბიძაჩემი გვიყვებოდნენ ერთ ასეთ ამბავს: 1906 წელი იქნებოდა. დავით ჟღენტს თავისი კუთვნილი გლეხობა დაუბარებია. ეზო რომ ავსებულა, დავითი აივანზე გადმომდგარა და ასე მიუმართავს: „თქვე მამაძაღლებო, როგორ გაბედეთ და ორი წლის ნადელი არ მომიტანეთო". შეკრებილთაგან ვიღაცას დაუძახია: „მამაძაღლოა თქვენი გამარჯობაო?". დავითი განრისხებულა და უყვირია: „არიქა, დაიჭირეთ ეგ ბუნტოვშჩიკი და ტერორისტიო". სტრაჟნიკები, რომლებიც ხალხს უთვალთვალებდნენ, მისცვივდნენ ამ გლეხს – მამაჩემის ტყუპისცალს, დავითოს. ჩემი უფროსი ბიძა მათე დავით ჟღენტის წინ წარმდგარა, რომელიც კარგად იცნობდა მას, და უთხოვია, განრისხების ჟამს უკადრისი რამ არ ჩაედინა მის კეთილშობილებას. დავით ჟღენტმა კარგად დაინახა თავისუფლების ჭაშნიკის გემოს გაცნობილი ხალხი როგორ შეირხა – მზად იყო მიერეგვ-მოერაგვა დავითის სახლკარი მის ჩაფრებიანად.

[4] მიწის პატარა ნაკვეთი, გლეხისთვის მიზომილი, მიჩენილი, ნაწყალობევი მიწა რუსეთის იმპერიაში რევოლუციამდე. ნადელით სარგებლობისთვის გლეხს გადასახადი უნდა ეხადა (რედ.).

ბიძაჩემი მათე ხალხს მიუბრუნდა და ხმამაღლა მიმართა (ხალხი მას კარგად იცნობდა, როგორც ათი წლის განმავლობაში სახალხო მოსამართლედ ნამსახურებს),– ხალხო, დამშვიდდით, წესრიგი არ დაარღვიოთ, ბატონ დავითს მოუსმინეთო. დავით ჟღენტზე სხვა მრავალი გადმოცემაა შემორჩენილი იმ უკუღმართი დროიდან, მაგრამ მისი სახის წარმოსადგენად ესეც კმარა.

უკანასკნელი ჩვენი ბატონი მიშა აბაშიძე, მგონი, საშუალო განათლებით იყო, სტუდენტის ქუდსა და ტანსაცმელს ატარებდა. უყვარდა პურმარილი, მაგრამ ლოთი არ იყო, აზნაურებსა და გლეხებთან ურთიერთობას არ თაკილობდა, პირიქით, სულ მათთან იყო. 1910-იან წლებში, კარგად მახსოვს, რგანში ცხოვრობდა გაფხეკილ აზნაურ გველესიანთან, ყიდდა კუთვნილ მიწებს და გოგო-ბიჭებში ხარჯავდა. ხშირად მთელ დღეებს აღამებდა რგანის დუქნებში, კარტისა და ნარდის თამაშში.

1918 წელს ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის შენობაში, სადაც მე ვსწავლობდი, ფედერალისტების პარტიის მოხალისეთა ბატალიონი დაბინავდა, რომელსაც იოსებ გედევანიშვილი მეთაურობდა. ბატალიონი დღისით ეზოში ვარჯიშობდა. სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეები საერთო საცხოვრებლიდან გამოვცვივდით და სამხედროებთან მივედით. მწკრივში მდგომთ თვალი გადავავლე და ჩემი ყოფილი ბატონი ვიცანი, მაგრამ რომ დავრწმუნებულიყავი, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ ჯარისკაცს ვკითხე: აბაშიძე თუ არის-მეთქი ვინმე თქვენში. მან დამიდასტურა, არის მიშა აბაშიძეო. 8-9 წელიწადი არ მენახა, გამოცვლილიყო, მაგრამ მაინც კარგად გამოიყურებოდა. გასაბჭოების შემდეგ მიშა აბაშიძე ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორი გახდა. ბოლოს ჩემი თვალთახედვიდან გაქრა. არც ის ვიცი, დარჩა თუ არა ვინმე.

საკუთარი სახლი

დავბინავდით საკუთარ სახლში. ეზო კი ერთი გვქონდა სამ მოსახლეს: ბიძია მათეს, ბიძია დავითოს და მამაჩემს. მართალია, ეს საეზოო ადგილი გარემოსთან ერთად განაწილებული იყო ძმებს შორის, მაგრამ ისე დაკუწული და მიჭრილ-მოჭრილი, რომ არ ღირდა შეღობვა. ამიტომ გაშლილი ერთი დიდი ეზო ვამჯობინეთ, ერთი ჭიშკრით. სამივე მოსახლეს გვყავდა ჩვენ-ჩვენი ქათამი, ინდაური, ღორი, ცხვარი, ძროხა და ხარი. არ მახსოვს, ერთი მოსახლის საყოლს მეორისა შეეწუხებინოს და ამ ნიადაგზე რაიმე უსიამოვნება მომხდარიყო. ასე ვცხოვრობდით თხუტმეტ წელიწადზე მეტხანს. შინაურსა და გარეულს, მოყვრებსა და ნათესავებს უკვირდათ, – აგაშენათ ღმერთმა! ზოგიერთი ძმები გაიყრებიან, ორი ვერსის დაშორებით დასახლდებიან, მაგრამ მათ შორის ჩხუბსა და დამდურებას ბოლო არ უჩანს, თქვენ კი ერთხელ მაინც გვენახეთ წაჩხუბებული და დამდურებულიო.

დიდძალი სანათესავო გვყავდა: ხუთი გათხოვილი და, დედულეთი ოთხი ბიძით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები... სტუმრად მოსულები სამი ძმის ერთ ეზოში რომ შემოდგამდნენ ფეხს, იბნეოდნენ, აღარ იცოდნენ, ვისკენ წასულიყვნენ. ერთი უპირატესობა გააჩნდა ბიძია მათეს, ის უფროსი იყო. რაც შეეხება ბიძია დავითოს და მამაჩემს, ესენი ხომ ტყუპისცალები იყვნენ, ერთდროულად მოვლენილები ამქვეყნად და აქ არჩევანის გაკეთება უჭირდათ. სიძნელე თავს იჩენდა, როდესაც მოკეთე ჩვეულებრივ დღეს გვესტუმრებოდა. დღესასწაულებზე (გიორგობას, მარიამობას...) კი სტუმრებს ძმები ინაწილებდნენ. მამაჩემი, როგორც ახალდასახლებული და დიდი სახლის პატრონი, მეტს იღებდა. ხშირად მორიგეობით ვინაწილებდით სტუმრებს. ამით საფუძველი ეყრებოდა მეგობრობასა და, ხშირად, მოყვრობასაც სამივე ძმის ნათესავებს შორის.

ახალ სახლში ჩავსახლდით ზაფხულის ბოლოს. ქვიტკირის ძირა სართული, რაც საზამთრო საცხოვრებლად იყო გათვალისწინებული, ნელა შენდებოდა. ამასობაში ნოემბერმა მოატანა, მშრალი შემოდგომა იდგა. ზედა სართულში ვცხოვრობდით. ღამით ამინდი უეცრად შეიცვალა, ქვენა ქარმა დაუბერა. მე და ვანოს ტკბილად გვეძინა დედ-მამის შუაში, ბუმბულის ლეიბზე, ბამბის საბნის ქვეშ. დილით გამოვიღვიძეთ და რას ვხედავთ! კრამიტებიდან ქარს სახლში თოვლი შემოუყრია და ნახევარარშინიანი ფენა ჩვენს საბანზეც იდო. მამამ საბანი გადაბერტყა, დაგვახურა და გვიბრძანა, არ ავმდგარიყავით. დედა და მამა შეუდგნენ თოვლის გადახვეტას. ლოგინში რა გაგვაჩერებდა პირველი თოვლის შემხედვარეს. წამოვცვივდით ფეხშიშველა, პერანგის ამარა დავიწყეთ სირბილი თოვლში. მშობლები იძულებული გახდნენ, საჩქაროდ მიეტოვებინათ თოვლის წმენდა. ჩაგვაცვეს თბილად და დიდი ცეცხლი გააჩაღეს.

როგორც იქნა, ჩავსახლდით ძირა სართულში, სადაც თბილოდა, მაგრამ იატაკი არ ჰქონდა – მიწის სოხანე იყო აყალო მიწით მოსწორებული. ცეცხლი ბუხარში გვენთო. მამას ხის მასალა აღარ ეყო ტიხრისთვის და ხარები ჩვენთან ბინადრობდნენ. რა არის ბავშვობა! ყველაფერი გიხარია, თორემ ეს ხომ ჩვენი სიღატაკისა და უკულტურობის მაჩვენებელი იყო. ჭუჭყსა და საქონლის სიბინძურეში ცხოვრობდა ზამთრობით ჩვენი სოფლის ცხრა მეათედი. დიდი იყო ბავშვების სიკვდილიანობა, რადგან ავადმყოფის მოვლისა და ექიმობის არავითარი საშუალება და პირობა არ არსებობდა. ექიმსა და აფთიაქამდე ოცი კილომეტრი გვაშორებდა და დიდი თოვლიანობის დროს ხომ კვირაობით იკეტებოდა გზები.

ხარებზე ცალკე უნდა გესაუბროთ. ისეთი სიყვარული შემომრჩა და იმდენი სიკეთე მახსოვს, რომ მათი გვერდის ავლა უმადურობა იქნებოდა. მე უკვე სკოლაში ვსწავლობდი, ხარები კი საბალახოდ დამყავდა ჩემს ბიძაშვილ ერასტისთან ერთად, მაგრამ ჯერ ვჩქარობ სკოლაზე გიამბოთ.

სკოლა

სექტემბრის პირველი რიცხვების ერთი კამკამა დღე გასრულდა. ჯერ კიდევ არ იყო შებინდებული. ლადიამ, ერასტიმ და მე საქონელი მოვდენეთ სამწყემსურიდან. ეზოში ჩვენებთან ერთად მეზობლის ქალებიც ჩამომსხდარიყვნენ და გაცხოველებით მსჯელობდნენ. ხშირად ისმოდა „კლასი", ზოგისგან – „სკლასი". ქალების კამათის ლექსიკას ყური მიჩვეული იყო. მეუცხოვა სიტყვები[5]: *კლასი, უჩიტელი,[6] დოსკა[7], გრიფელი, რვეული, წიგნი, უროკი[8].* მივხვდი, რომ რაღაც საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი ხდებოდა. რომ დაგვინახეს, ერთმა გარეშე ბიცოლამ ხმამაღლა წამოიძახა: „ასე ფეხშიშველსა და დახეული ბლუზა-შარვლით ხომ ვერ გოუშვებ კლასში ამ ბოვშებს, ყიდვის თავი კი ჩვენ არ გაგვაჩნიაო". კარგად მახსოვს, დედამ იმ საღამოს დამბანა, დასაკერი დამიკერა და გასარეცხი გამირეცხა. დილით ადრე გამაღვიძა, ჩამაცვა, მასაუზმა. ეზოში რომ გამოვედი, ლადია, არესტი და კალია მიცდიდნენ. ისინი ჩემზე დიდები იყვნენ, ათ წელს გადაცილებულნი, მე კი ყველაზე პატარა ტანითაც და ასაკითაც. არესტის და ლადიას აქეთ-იქიდან ხელჩაკიდებული მივყავდი. გავუარეთ გიორგის გატიას, სარდიონას ლადიას და თხუთმეტ წუთში სკოლის ეზოში შევცქრიალდით. ჩანთები ჯერ არ გვქონდა, შიგ ჩასაწყობიც არაფერი გაგვაჩნდა. სკოლა იყო ფარღალალა შენობა, იდგა ტატია მინდორზე, ერთი ოთახისგან შედგებოდა კარითა და მინებჩამსხვრეული ფანჯრით. ჩვენ ყველაზე პირველები მივედით. მხოლოდ ბიქტორ მასწავლებელი დაგვხვდა. კლასი დაელაგებინა, ოღონდ ძირს დაწყობილი გრძელი პარტები[9] ვერ წამოეყენებია. ჩვენი მისვლა გაუხარდა. ხელი დაგვიქნია, შემოდითო. შევედით. აბა, დიდო ბიჭებო, მომეხმარეთო. მე და გატია კი ეზოში გამოგვისტუმრეს. ამასობაში სხვა ბავშვებიც მოვიდნენ. იმ დღეს ოცამდე მოვიყარეთ თავი. ბიქტორ მასწავლებელმა მიგვი პატიჟა კლასში და პარტებზე გაგვანაწილა. ყველაზე წინ მომიწია დაჯდომამ. წინ მაგარი და მოკლე პარტები იყო დალაგებული, უკან – მორყეული და გრძელი. ყველას სათითაოდ გამოგვკითხა სახელი და მამის სახელი, გვარი ყველასი იცოდა. ჟურნალში ჩაგვწერა.

დაიწყო პირველი გაკვეთილი: მასწავლებელს როდესაც პასუხობ, უნდა ადგე, ხელები ჩამოუშვა, სწორად დადგე და სანამ არ გეტყვიან, არ უნდა დაჯდეო; ცხვირი არც სახელოთი მოიხოცოთ და არც იატაკზე დააბერტყოთ, არ შეიძლება აგრეთვე დაფურთხება იატაკზე, ხვალიდან ყველას ჯიბეში უნდა გქონდეთ „პლატუკები"[10] ცხვირის მოსახოცადო; კლასში ერთმანეთთან ლაპარაკი არ შეიძლებაო; გარეთ გასვლა მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით შეიძლება, გასწავლით, როგორ უნდა

[5] აქ და შემდგომშიც ჩვენ ავტორის კვალდაკვალ შეგნებულად ვტოვებთ ტექსტში გამოყენებულ ბარბარიზმებს. ამის მიზეზია, უპირველეს ყოვლისა, მეძუარებში აღწერილი ენობრივი სინამდვილის შეულამაზებელი გადმოცემა, ხოლო სხვა მიზეზი ის გახლავთ, რომ ნათლად დავინახოთ ერთი საუკუნის წინანდელი წარსული, როცა რუსული ენიდან ლინგვისტური საჭიროების გარეშე შემოსულმა ბარბარიზმებმა დაამახინჯეს, გააღარიბეს და დაანაგვიანეს ქართული ენა. დღეს ეს პროცესი სახეშეცვლილად მეორდება. ჩვენს მშობლიურ ენაში სრულიად უკანონოდ ვრცელდება ინგლისური და სხვა ენებიდან გადმოღებული ბარბარიზმები, მაშინ, როდესაც ქართულ ენაში არსებობს საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი შესაბამისი სიტყვა-ტერმინები. გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი გარემოება განპირობებული იყო იმით, რომ სკოლებში მხოლოდ რუსულ ენაზე შეიძლებოდა სწავლა, ხოლო ქართული ენა იდევნებოდა. პრობლემის გადაწყვეტა დღეს მოითხოვს, კრიტიკულად შევაფასოთ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სოციოლინგვისტური ვითარება (რედ.).

[6] Учитель (რუს.) – მასწავლებელი.

[7] Доска (რუს.) – დაფა.

[8] Урок (რუს.) – გაკვეთილი.

[9] Парта (რუს.) – მერხი.

[10] Платок (რუს.) – აქ: ცხვირსახოცი.

ითხოვოთ ეს ნებართვა რუსულადო; ხელები პარტებზე უნდა გეწყოთ, ამიტომ სუფთად დაბანილი და ფრჩხილებდაჭრილი უნდა გქონდეთო; პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი და თმამოშვებული ვინც მოვა, უკან, სახლში გავუშვებო. ამის შემდეგ დაიწყო გამოკითხვა, ვიცით თუ არა პირჯვრის გადაწერა. პირველი მე ამაყენა მასწავლებელმა. რადგან მისი სეხნია ვიყავი, სახელი გამომიცვალა და ბიკენტი დამარქვა. აბა, ბიკენტი, ადექიო! ავდექი, მაგრამ ხელები გამექცა და დაიწყეს ფათური პარტაზე და პარტის გარშემო. ჩაკიდე ხელი ხელსო, მიბრძანა მასწავლებელმა. ამოვისუნთქე, ძლივს არ გავაჩერე ეს დალოცვილი ხელები! ახლა ტანმა დამიწყო ყუნწალი, ხან ერთ ფეხზე დავდგებოდი, ხან მეორეზე,მერე უკან გადავიზნიქებოდი, ცოტა ხანში წინ ვიხრებოდი,ერთი სიტყვით, ფეხზე ვეღარ ვიდექი. ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი და ამ მარცხმა სულ მომშალა, სახეზე წამომანათა, მუხლები ამიკანკალდა და ის იყო, ტირილი უნდა დამეწყო, რომ მოვიდა ის სულგანათლებული, თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა, გამიღიმა, დამიყვავა, შემაქო კიდეც, მითხრა, — აბა, ბიკენტი, გვიჩვენე, როგორ უნდა დაიწერო პირჯვარიო. პირჯვარი სწორად გადავიწერე. მომიწონა, თვითონაც გადაიწერა, ყველას გაამეორებინა. გამოირკვა, რომ ბავშვების ნახევარმა არ იცოდა ქრისტიანული რელიგიის ამ პირველი და მთავარი წესის სწორად შესრულება. პირველი დღე ყოფაქცევასა და პირჯვარს მოვანდომეთ. მეორე დღისთვის დაგვევალა ათ-ათი ჩხირის მოტანა, ვისაც შეეძლო დოსკა და გრიფელიც უნდა მოეტანა. კარანდაშის[11], რვეულებისა და დედაენის შემენის ვადა მომავალ ორშაბათს დაგვიდო — ამისთვის საგანგებოდ მხოლოდ კვირას ჭიათურაში თუ გაემგზავრებოდი, სხვა გზით ასეთ რამეებს სოფლად სად იშოვიდი.

სიყმაწვილე

სამრევლო სამგანყოფილებიანი სკოლა ჩვენ სოფელში ცხრაასიან წლებში დაარსებულა. პირველი რევოლუციის დროს აქ მასწავლებლად იუსტინე გამეზარდაშვილი ყოფილა. ჩვენებური ქალი შეურთავს და აქვე ჩასიძებულა. თვითონ სოფელ ჩელტივაკიდან ყოფილა. სკოლაში ტარდებოდა კრებები, რომელზეც დიდი კამათი იმართებოდა პარტიებს შორის. თვითონ იუსტინე ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილა. შეუპოვარი ბოლშევიკი ძლივს გადაურჩა ჩამოხრჩობას, თუმცა ასტრახანში გადაუსახლებიათ და იქ დაღუპულა ჭლექით. რამდენიმე წელიწადს სკოლაში სწავლა შეწყვეტილა. ამასობაში ჩვენი დიაკვნის, სიკოს შვილს ვიქტორ ცერცვაძეს დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო სემინარია და მასწავლებლად დაუნიშნავთ. მან განაახლა ჩვენი სკოლა და თუ სოფლის მცხოვრებლებმა, ჩემი და შემდეგი თაობის ქალმა თუ კაცმა, წერა-კითხვა ისწავლა და რამეს მიაღწია, ამ პატიოსან, უმწიკვლო, თავმდაბალ და კეთილ ადამიანს უნდა უმადლოდეს. მეც დიდად ვარ დავალებული მისგან. მან გამიღვიძა წყურვილი და მისწრაფება სწავლისა და განათლებისადმი. დიდება მის ხსოვნას. იმრავლოს და იდღეგრძელოს მისმა შთამომავალმა.

ერთი კვირა ყოველდღე გვემატებოდა ამხანაგები, ამიტომ ყოფაქცევისა და პირჯვრის წერის გაკვეთილიც ყოველდღე მეორდებოდა. მიუხედავად ამისა, ყოფაქცევის წესების დანერგვა ძნელდებოდა. მინდორ-ველად, ტყეში და კლდეებში თავისუფლად და ლაღად მონავარდე ბავშვებს გვიჭირდა ერთ ადგილას გაუნძრევლად ჯდომა. სიჩუმე ხომ სულს გვიხუთავდა: დილიდან საღამომდე მინდორსა და ტყეში ვატარებდით,ვყვიროდით,ვმღეროდით ან ერთმანეთს ვაჯავრებდით, ვხუმრობდით — კლასში კი ხმაგაკმენდილი ისხედითო! ეს იყო უდიდესი სასჯელი.

მასწავლებელი მკაცრი გამოდგა. წესრიგის მცირე დარღვევასაც არავის აპატიებდა. არ გცემდა, ყურს თუ აგიწევდა. უმთავრესად კი კუთხეში გვაყენებდა. დაჩოქებაც გვიწევდა პირით კედლისკენ. ეტყობა, ადვილი არ იყო ტყისა და ველის ბიჭების მოტეხვა-მოთვინიერება. მასწავლებელს დიდი მოთმინება სჭირდებოდა და გულმოდგინება, თითოეული ჩვენგანის ხასიათი და ბუნება რომ შეესწავლა. ზოგიერთმა მასწავლებლის გაჯავრებისა და დასჯის პირველივე შემთხვევისთანავე მიატოვა სკოლა. მშობლები ამის გამო დიდად არ დარდობდნენ, რადგან

[11] Карандаш (რუს.) – ფანქარი.

სოფელში ბავშვი 6-7 წლის ასაკის შემდეგ დასაქმებულია: მწყემსობს და მრავალ წვრილმან საოჯახო საქმეს აკეთებს. მასწავლებელი თვითონ მიდიოდა ოჯახებში გაქცეულ ბავშვებთან და უკან აბრუნებდა. გვიან შემოდგომამდე ორმოცამდე შევგროვდით. ძლივს ვეტეოდით და კლასის კარი ნახევარჯერ ღია გვქონდა, მაგრამ ფანჯარაში მინების ჩასმის შემდეგ მაინც ვიხრჩობოდით. წიგნების, რვეულების, კარანდაშისა და რუჩკა-კალმის[12] შეძენის შემდეგ მეცადინეობა დიდი გულმოდგინებით ტარდებოდა.

ჩვენთვის საათები და წუთები არ არსებობდა. სანამ თითოეული მოწაფის დავალების შესრულება და ახალი გაკვეთილის ათვისების დონე არ შემოწმდებოდა,მეცადინეობა არ წყდებოდა. ზამთარში დღე ხშირად ისე შემოგველეოდა ხოლმე, რომ შინ შებინდებისას ვბრუნდებოდით.

კატლეტებსა და ბუტერბროდებზე უკაცრავად ვიყავით. ჩვენი საუზმე ცივი მჭადი იყო. ვისაც ღადარში გამომცხვარი კოკორი ან ერთი ნატეხი ყველი აღმოაჩნდებოდა, უბედნიერესი იყო.

ორ დასვენებაზე მეტი არ გვეძლეოდა, ერთი მცირე და ერთიც თითქმის ოცწუთიანი. ამ დროში ვასწრებდით დანაყრებას და ცოტაოდენ ეზოში წათამაშებას, როცა კარგი ამინდი იდგა. წვიმაში კი ღია აივანზე ვიხურხლებოდით.

სამ ჯგუფად დაგვყვეს. ორ ჯგუფს რომ წერითი გაკვეთილი ჰქონდა, მესამეს ზეპირი გაკვეთილი უტარდებოდა. ახლა მიკვირს, როგორ ვახერხებდით საცოდავები წერას, როცა იქვე სხვა მოწაფე გაკვეთილს ყვებოდა ან თუ მასწავლებელი ყურს აუწევდა ვინმეს.

სკოლას დამლაგებელი არ ჰყავდა. ამ მოვალეობას მორიგე მოწაფეები ვასრულებდით. ყოველდღიურად ორნი ვმორიგეობდით. უნდა დაგვეგავა და დაგველაგებინა კლასი, მოგვეტანა წყალი, დაგვენთო ცეცხლი.

იმერეთში ადრე იცის აცივება, ოქტომბერში უკვე ცეცხლის დანთებაა საჭირო, მით უმეტეს ხის ფარღალალა შენობაში. სკოლას არც შეშის შესაძენი სახსარი გააჩნდა. ასეთი წესი შემოიღეს: ყველა მოწაფეს ყოველ დღე უნდა მოეტანა თითო ნაჭერი შეშა და მორიგისთვის ეჩვენებინა. ცეცხლი მორიგეს მოჰქონდათ სახლიდან თიხის ქოთნით. რადგან ჩვენებურ ქოთანს ყური არა აქვს და რომც ჰქონოდა სკოლამდე გაცხელდებოდა, ქოთნის ყელს წკნელის ღვლენჭს შემოვუჭერდით და გზაში მღვდლის საცეცხლურივით მივაქნევდით. ამიტომ ნახშირი ბლომად უნდა ყოფილიყო ქოთანში და გზაშიც უნდა გვემატებინა, რომ სკოლაში მისვლამდე არ ჩაგვქრობოდა. იკითხავთ, კი მაგრამ ასანთი არ იყო მაშინო. როგორ არა! იყო და ბევრიც, მაგრამ ორი კოლოფი ასანთი 3 კაპიკი ღირდა. გარდა ამისა, უნავთოდ, ასანთით ცეცხლს ვერ ავანთებდით, ხოლო ნავთი სინათლისთვისაც ძნელად გვემეტებოდა და ცეცხლის დასანთებად ვინ მოგვცემდა!

გათბობის საქმე კარგად მიდიოდა, შეშის მარაგი მატულობდა. კედელსა და პარტებს შორის მოწაფეების დასაჩოქებელი ადგილი აღარ დარჩა. ამ დროს გამოაშკარავდა ფრიად სამარცხვინო ამბავი. მასწავლებლის დავალებით ორმა მოწაფემ დაიწყო შეშის აკალიფება სიმაღლეზე. მასწავლებელი მითითებას აძლევდა, თუ როგორ დაეწყოთ. ამ დროს შეამჩნია ვენახის სარების წათლილ-წარაფული ბოლოები. ზედ შემხმარი მიწა ამტკიცებდა, რომ სარი ახალი ამოძრობილი იყო მიწიდან. თურმე ჩვენი კლასი ნაქურდალი სარებით თბებოდა. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. საქმე ის იყო, ვინ გამოტყდებოდა და აღიარებდა დანაშაულს. მასწავლებელი ჩვენკენ მობრუნდა. აღშფოთებული ჩანდა. მისი თვალები დამნაშავეს ეძებდა. ვინც სარი ან ხარდანი მოიტანა შეშად, წინ გამოვიდესო! რამდენიმე მოწაფე შეიშმუშნა, მაგრამ არავინ ამდგარა. მასწავლებელმა, კარგად ვიცი, ვინც მოიტანა ეს სარი და ხარდანი, თუ სიმართლეს იტყვის, არ დავსჯი, თუ არადა, ცუდი დღე მოელისო. სასჯელის შიშს ვეღარ გაუძლო ბეგლარის გულმა, ადგა, წინ გამოვიდა, ათჯერ მაინც მიიხედა თანამონაწილეებისკენ. ცხადი შეიქნა, ვინ იყვნენ ჩვენი შემარცხვენელები.

– დანარჩენები რას უცდით, გამობრძანდით – ლავრენტი,ტარასი,გერონტი... – ბრძანა მასწავლებელმა. ისინიც გამწკრივდნენ პარტებსა და იმ კედელს შორის, სადაც შეშა იყო მიწყობილი.

– აბა, ბეგლარ, ჩამოუარე ყველას და მაგრად აუწიე ყური! – უბრძანა მასწავლებელმა. ბეგლარი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც შეასრულა ნაბრძანები, – ხვალ დილით ყველა ვაზსა და ღობეს, რომელსაც სარი ამოაცალეთ, მიუსობთ ახალ სარს, სანამ პატრონს არ გაუგია. ასეთი რამ აღარ გამეორდეს, თორემ დამნაშავეს სკოლიდან დავითხოვ, – გამოგვიცხადა მასწავლებელმა.

[12] Ручка (რუს.) – კალმისტარი.

ქურდობა სირცხვილად და მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა. სახლები, ბეღლები და სასიმინდეები არ იკეტებოდა. ჭურები სახლიდან კარგა მოშორებით, ღია ცის ქვეშ ჰქონდათ, მაგრამ არ მახსოვს ვინმეს სახლი გაექურდოს, ან ღვინო მოეპაროს. მოწაფის ხელმრუდობა ხომ ყოვლად წარმოუდგენელი იყო!

მასწავლებელი დიდად პატივცემული პირი იყო სოფლად. ის გამოირჩეოდა თავისი ჩაცმულობით, ყოფაქცევით, ლაპარაკის კილოთიც. მოწაფეები მასწავლებელს „ბატონობით" მივმართავდით.

„თქვენობით" მიმართვა მან გვასწავლა. სოფლად გლეხობა შენობით მიმართავდა ყველას, დიდსაც და პატარასაც. ჩვენც პირველად მასწავლებელსაც და მღვდელსაც შენობით მივმართეთ. მართალია, გაგვიჭირდა, მაგრამ მალე გადავედით „თქვენობით" მიმართვაზე.

მოწაფეებს ბევრი ქართული ლიტერატურული სიტყვა არ გვესმოდა, მაგალითად, ციცხვი, კომში, თუთა, გოგრა, გუთანი, დო, მაწონი, ერბო, ერდო, ბანი, კარაქი, ხევი, ვარცლი... კაჭკაჭი ჩვენში არ ბუდობს და არც ვიცოდით, რა ფრინველი იყო. არადა პირველსავე ლექსებში, ხომ გახსოვთ, რა ბრძენ ფრინველად გვევლინება. არც ტურა გვენახა, რადგან ჩვენ ტყეებსა და მინდვრებში მისი ჭაჭანებაც არსად იყო. ახლა ჭალებში შესახლებულან და, თხა თუ ვინმეს დარჩა გარეთ, დილით რქებისა და ჩლიქების მეტს ვერაფერს ი პოვის. ლაპარაკის კილო ეხლანდელზე უკეთესი გვქონდა, მაგრამ არა სრულყოფილი. ზოგი უბანი მაინც გამოირჩეოდა დამახინჯებული, რაღაც უცნაურად შებრუნებული, უგემურად დაბოლოებული და უადგილოდ ბოლომოჭმული გამოთქმებით.

ღირსეულმა ქართველმა,ჩვენმა კეთილისმყოფელმა მასწავლებელმა პირველი დღიდანვე შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა ქართული ენის დამახინჯებას. ჩვენც ვცდილობდით, ენა გაგვესწორებინა, მაგრამ როგორც კი სკოლის კარს გამოვცდებოდით, ისევ ჩვენებურად ვიწყებდით ბჟუტურს.

შელახული იყო ქართული სალაპარაკო ენა სოფლად და ქალაქად. დაწყებითი სკოლის მეორე განყოფილებიდან რუსული ენის სწავლება იწყებოდა, ხოლო მეოთხე განყოფილებიდან ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა: არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, ბუნება, გეოგრაფია და საღმრთო სჯული. ეს უკანასკნელი მართლაც რჯულს გვაცლიდა ძველსლავური, ჩვენთვის უცნობი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომელთა დაზეპირებაც ლექსივით გვიხდებოდა.

სოფლის თავშესაყრელ ადგილებში,ხანშიშესული კაცებისგან ხშირად ისმოდა სიტყვები: *კუპჩა,კოპეო, ნაობახი, დოგოვორი, სტანცია, პოპოშნიკი, კირკა, ზაოტი, იასოული, სტრაჟნიკი, ბლაყორჩინი, ბორჩიკი, ოკროი სუდი, ლაპორტი, პოვეზი, პარავოზი, პარახოდი, ოდელენიე, ლესნიჩი, აბესჩიკი, აკოშკა, სტეკლო, კრაოტი...*[13] ტარიელა ხელოსნიშვილი კი ლაპარაკის დროს *ზნაჩიტ*-ს[14] იშველიებდა ხშირად (ქალაქში ნაცხოვრები იყო).

ქართული ენა გამოთიშული იყო ყოველგვარი მიმოწერიდან და საქმის წარმოებიდან. ჭიათურიდან სალიეთში რომ გაგეგზავნა უბრალო ბარათი, მისამართი რუსულად უნდა დაგეწერა. ამიტომ იყო რომ ქართულმა სიტყვამ ნდობა დაკარგა და სიმყარე აღარ გააჩნდა იმ ცნებათა გამოსახატავად, რაც ხალხში ყოველდღიურ ბრუნვასა და მიმოქცევაში იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ტატიამინდვრის სამრევლო სკოლას. არ მინდა, ჯერ რომ მივატოვო, რადგან ასეთი გასხივოსნებული დღეები ცხოვრებაში აღარ მეორდება. ჩანთაში „დედა ენა" მაქვს,მივდივარ სკოლისაკენ, მგონია, ქვეყანა მე შემომცქერის და შემომნატრის. თუ გახსოვთ ამ ძვირფასი წიგნის პირველი დანახვა? წერა-კითხვის უცოდინარი სოფლელი ბავშვისათვის რა იქნებოდა ამაზე მეტი სიხარული და სიმდიდრე! სიამაყით ვიყავი სავეს – ეხლა ნამდვილი მოწაფე ვარ, ხუმრობა არ გეგონოთ, წიგნი, რვეული, ფანქარი კალამი და კალმისტარი მაქვს. ეხლა მხოლოდ სწავლაა საჭირო. „ი ა აი ია". პირველი ორი ასო ვისწავლეთ, წავიკითხეთ და გამოვიდა საყვარელი ყვავილის სახელი. ია და ვარდი ეფინოს მარადის იაკობ გოგებაშვილის ნათელ ხსოვნას, რომელმაც ქართველი ბავშვის სულსა და გულს უძღვნა იად და ვარდად გადაშლილი მარად უჭკნობი წიგნი „დედა ენა".

[13] Купчая, копия, гауптвахта (გერმ. Hauptwache), договор, станция, помощник, кирка, завод, есаул, стражник, благочинный, сборщик, окружной суд, рапорт (ფრანგ. Rapport), повозка, паровоз, пароход, отделение, лесничий, объездчик, окошко, стекло, кровать...(რუს.) – ნასყიდობის ქაღალდი, ასლი, ჰაუპტვახტი, ხელშეკრულება, სადგური, თანაშემწე, წერაქვი, ქარხანა, ესაული, ჩაფარი, მღვდელი (რომელიც რამდენიმე სამრევლოს განაგებს), ამკრეფი, საოლქო სასამართლო, პატაკი, ოთხთვალა, ორთქლმავალი, გემი, განყოფილება, მეტყევე, ცხენოსანი დარაჯი, ფანჯარა, შუშა, საწოლი...

[14] Значит (რუს.) – *CarT*. მაშასადამე, მაშ.

რუსული ენა

ასე იყო თუ ისე, თავსმოხვეულ რუსულს როგორღაც შეეჩვია ხალხი, ზოგს მოსწონდა კიდეც – რაღაცნაირი სიმპათია გაუჩნდათ. ასარჩევიც არაფერი იყო – რუსული გახლდათ გაბატონებული ყველგან და ყველაფერში. ამ ენის ცოდნა მიაჩნდათ განათლების ნიშნად, ხოლო არცოდნა – გაუნათლებლობად. ამიტომ იყო რომ, თუ ვინმემ საყველპურო რუსული იცოდა, პატივს სცემდნენ. ერთ მეზობელს პავლია პრისტავს ეძახდნენ, სალდათობაში რუსული უსწავლია და სოფელში რომ დაბრუნებულა, ლაპარაკში თურმე რუსულს ურევდა. ამის გამო ჟოჟუკის პავლიას ხალხმა პრისტავი[15] შეარქვა.

სოფლის ბავშვს რუსული არავისგან არ ესმოდა და მხოლოდ სკოლაში უნდა ესწავლა. ამიტომ მასწავლებელი მრავალჯერ გვამეორებინებდა თითოეულ სიტყვას. დიდ გაჭირვებაში გვაგდებდა რუსული სიტყვების მახვილები, ასო ,,ო''-ს ,,ა''-დ გამოთქმა. ამ ნიადაგზე ბევრი ყური აგრეხილა და უთვალავი სილაქი დახარჯულა. დიდებს პატარა ბიჭებმა ვაჯობეთ რუსული სიტყვების დახსომებაში და სწორად გამოთქმაშიც. ამის გამო მე და ვასილა ბუკს ხშირად სახიფათო მოვალეობას გვაკისრებდა მასწავლებელი: არცოდნისა და ცუდად გამოთქმისთვის ყური უნდა აგვეწია ჩვენზე სამი-ოთხი წლით უფროსი მოწაფეებისთვის. სხვა გზა არ გვქონდა: ავუწევდით ხოლმე, მაგრამ, რაც შეიძლებოდა, უმტკივნეულოდ.

– ბიკენტი! აუწიე როგორც წესი და რიგია, თორემ შენ ყურებზე გასწავლი როგორ უნდა ყურის აწევა.

– ნელა ქენი, ბოშო, თვარა სახლში აღარ გინდა წამოსვლა? – ჩუმად ჩამილაპარაკებდა ისმაილა ბერიკიშვილი, რომელსაც ძლივს ვწვდებოდი ყურამდე. რა მექნა, არ ვიცოდი, ,,შამფურისა და მწვადის'' ამბავი მჭირდა. გზაში ვეუბნებოდი ყურაწეულ ბიჭებს, – მასწავლებელზე უფრო ნელა ქე გიწევთ მაგ ყურებს, ბიძია, და სხვა რაღა გინდათ-მეთქი. თავს ვაკლავდით, ხმამაღლა ათასჯერ ვიმეორებდით სიტყვებსა და წინადადებებს. გაკვეთილი ჯერ წაკითხვით და შემდეგ ზეპირად უნდა გვესწავლა. თითქოს ბევრი სიტყვა ვიცოდით რუსულად, მაგრამ გაბედულად ვერ ვლაპარაკობდით. თვლა და ანგარიშიც ვისწავლეთ რუსულად, მაგრამ ჭიათურაში ერთ კვირა დღეს მე და გატიამ დიდი სირცხვილი ვჭამეთ. გატიას მამას, გიორგის დედალი ეჭირა ხელში გასაყიდად. რუსი შეეკითხა რამდენი ღირს დედალიო.

– ბოვშვებო, რას მეუბნება ეს რუსიო, – გვკითხა გიორგიმ.

– დედალი რა ღირსო, –ვუთხარით ჩვენ.

– სამი აბაზი დოუფასეთო, – გვითხრა გიორგიმ.

– ტრი, – ერთხმად დავიძახეთ მე და გატიამ და პირი დავაღეთ, აბაზი არ ვიცოდით, როგორ იყო რუსულად, რაღა გვექნა არ ვიცოდით.

– ვაი, რავა ტყუილად დადიხართ იმ კლასში, თქვე ცოდვის შვილებო! სამ წელიწადში რავა ვერ ისწავლეთ სამი აბაზის თქმა რუსულად? – გაგვიწყრა გიორგი. საბედნიეროდ, ვიღაც ქართველმა შეამჩნია ჩვენი გაჭირვება და რუსს უთხრა: ,,შესტდესიატ კაპეეკ''[16]. ამის თქმა ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ კაპეიკობით რომ იყო ფულის სათვალავი, ეს არ ვიცოდით. გიორგიმ ეს ამბავი სოფელში ამოიტანა და სასაცილოდ გაგვხადა.

რუსული ლოცვების სიტყვები ძველი სლავური იყო, მათი უმრავლესობა გაუგებარი იყო თვით რუსებისთვისაც და ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ვაჭველი ბავშვებისთვის.

ჩვენი უბნის ბიჭებმა გადავწყვიტეთ საშობაოდ რუსული ალილო გვესწავლა. ლადიამ იცოდა რუსული ტექსტი და მოტივი. მე, არესტიმ და კალიამაც ორ დღეში შევისწავლეთ. ქართული ალილო ყველამ ვიცოდით, მაგრამ გვინდოდა თავი მოგვეწონებინა და რუსულადაც გვეგალობა.

შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო,
აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...

ასე იწყებოდა შობის ეს საგალობელი[17]. იგივე რუსულად, ჩვენი გამოთქმით, ასე ისმოდა:

რაჟდესტვო ხრისტე ბოჟე ნაშ

[15] ბოქაული, ზედამხედველი რევოლუციამდელ რუსეთში (რედ.).
[16] Шестьдесят копеек – სამოცი კაპიკი.
[17] ეს გახლავთ ქრისტეშობის დღესასწაულის ტროპარი: *შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისაგან ისწავეს თაყუანის-ცემაჲ შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთად, უფალო დიდება შენდა.*

ოსია მიროის ვედ რაზუმა
ნემოჟენასუჩაში ვეზდეი უჩა
ხუსია ტებე კლანია
გოსპოდი სლავა ტებე,
გოსპოდი სლავა ტებე.[18]

პირველად უბანში ვცადეთ და მოვასმენინეთ ჩვენი ,,დიდებული'' გალობა. ჯერ ქართულად ვიტყოდით, შემდეგ კი რუსულს მივაყოლებდით. მოტივი სხვადასხვა იყო. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ერთობ კარგიაო,გვითხრეს,და ჩვენც რამდენიმე უბანს მივულოცეთ შობის მოახლოება.

ქალები გვეხვეწებოდნენ, ერთხელ კიდევ თქვით რუსულადო და ჩვენც ვიმეორებდით. საციქველი ორ კვერცხზე ნაკლები არ იყო, ზოგი კი რუსულად გამეორებისათვის სამ კვერცხსაც იმეტებდა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ბიჭებს სხვა მოსაზღვრე სოფლებში უნდოდათ გასვლა და რუსული გალობის გატანა, მაგრამ მშობლები არ დაეთანხმენ.

თამაში და გართობა

ბურთს ჩენი ხელით ვაკეთებდით. ნაზამთრალ ხარს სამურველს რომ ჩამოვუსვამდით, ბალანი ბურქვად ჩამოსდიოდა. მრგვალ ქვას გარშემო ხარის დასველებულ ბალანს ვახვევდით,მანამდე სანამ ბურთი საჭირო ზომამდე არ გაიზრდებოდა. შემდეგ გავახვევდით ჩვარში და ასე დავტოვებდით გაშრობამდე. ბურთის თამაში იყო გატანია, ანუ ლელო. ფეხბურთი მაშინ არ ვიცოდით. მინდორში, მწყემსობისას, რიკ-ტაფელა და საყაობა იყო ჩვენი გასართობი. ამ თამაშების ორივე სახეობა დიდად გვავარჯიშებდა ხელმარჯვეობაში, სირბილსა და მიზანში მოხვედრაში. ყველაზე საინტერესო იყო იმპროვიზაცია, რასაც ვაწყობდით ხოლმე ადრე გაზაფხულზე, როცა ჯერ კიდევ თოვლი იდო. რილო ყველაზე ადრე მოყვარულის გორაზე გამოჩნდებოდა. მისი სამხრეთი კალთა ზედა ჭალის ხევს პიტალო კლდის კედლით ეყრდნობოდა. ეს გორა სამიდან ხუთსართულიანი სახლის სიმაღლისა იქნებოდა. იქ ხუთიოდე პატარა გამოქვაბულიც გამწკრივებულიყო – ჩვენი საყვარელი სათამაშო ადგილი. ნაშუადღევს,როდესაც კარგად მოთბებოდა,შეშის მოტანის საბაბით, წალდებით ხელში, თავს ვიყრიდით ნაბადურზე: ბიჭოლას კალია, ვარდოს ალექსანდრე, მარკოზას ილიკო, დავითოს არესტი, გიორგის გატია, სარდიონას ლადია, გიორგის ედია, გრიგოლას ვანია, ნარიმანას ტონია, ალექსის მიხაკო, სამსონას ტარასია, ალფეზას გვალადია, კიკოს პორფილე, მატიას ლადია და ფოტინეს რაფიელა. ჩავივლიდით გივიშვილების კარზე, გადავივლიდით უზანაშვილების ეზოებს და ოც წუთში გამოქვაბულებში ვიყავით ჩასახლებულები. ადრე გაზაფხულის მზე ერთნაირად ანათებდა ჩვენს სასახლეებს. უფროსი ბიჭების საბჭო ადგენდა დღის სათამაშო თემას. გამოქვაბულებში ბურთის, რიკტაფელას და საყაობის თამაში ვერ ხერხდებოდა. აქ მხოლოდ იმპროვიზაციით ვერთობოდით. გიორგობა, ნამხაობა, თემობა, გაყოფა (გაყრა) ძმებისა და მასთან დაკავშირებული დავა, საჩივარი, ,,სუდი'', დავა სამანის გადაწევის გამო, ხელფასის მიღების ვაი-ვაგლახი მარგანეცის წვრილი ,,ფოდრაჩიკებისაგან''[19] და სხვა დადგმები, რისთვისაც კი ყური მოგვიკრავს და რაც თვალით გვინახავს.

როლები გულდასმით ნაწილდებოდა. თითოეული კონკრეტულ პიროვნებას თამაშობდა. ვისაც მიბაძვა-იმიტაცია ეხერხებოდა, უფრო რთული და საინტერესო როლი ეძლეოდა. მაგალითად, ფოტინეს რაფიელა კარგად ბაძავდა მარგანეცის მრეწველ გიგია ბრეგვაძეს, ბიჭოლას კალია – დომენტი აბესაძეს,რომელიც მე არასოდეს მინახავს,მაგრამ ჭირივით მეჯავრებოდა,რადგან კალია მისი როლის შესრულებისას სულ ილანძღებოდა, ხელფასს არ იძლეოდა და მეორე კვირასო, ასე იძახდა (თურმე უფროსი ძმისაგან, აბესალასაგან იცოდა ამ აბესაძის ამბები და ხასიათი). ჯიბო აბაშიძე უფრო კეთილად და სინდისიერად გამოიყურებოდა ილიკოს წარმოსახვისას. ავი და ბოროტი იყო ლადიას წარმოდგენით მრეწველი გიგო სამხარაძე. ასე და ამგვარად ხატავდნენ უფრო მოზრდილები მრეწველებს: ვინმე ამაღლობელს, სამყურაშვილს, ჩომახიძეს, სვანიშვილს,

[18] ქრისტეშობის სადღესასწაული ტროპარი საეკლესიო სლავურზე ასე ჟღერს: *Рождество Твое Христе Боже наш, возсия мирови свет разума: в нем бо звездам служащии, звездою учахуся, Тебе кланятися Солнцу правды, и Тебе ведети с высоты Востока: Господи слава Тебе.*

[19] Подрядчик (რუს.) – მენარდე.

თოდუას, სესია ლეჟავას, სარჯველაძესა და სხვებს.

ჭიათურაში მრავალი მრეწველი სხვა ეროვნებისა იყო: ჩილინგაროვი, ედიგაროვი, ჩერნიავსკი, მანუილადისი, ზაროვილი, ფეიქაროვი, პანასიე, ფორვუდი, პერსენაკი და სხვები. მაგრამ ისინი ხომ ქართულად არ ლაპარაკობდნენ და როგორ უნდა მიგვებაძა. თუმცა მახსოვს, ედია და ერემია მგალობლიშვილები როგორ აჯავრებდნენ ვიღაც ბერძენს. დაიწყებდნენ,– *ოკოლოს პენტე კოპიო ინკოს* – ამგვარად ბჟუტურობდნენ და ვითომ ეს იყო ბერძნული.

ყველა დღესასწაული და ქეიფი სიმთვრალითა და ჩხუბით უნდა დამთავრებულიყო. ჩხუბისათვის ხმალი და ხანჯალი იყო საჭირო,რის გამოც პირველ რიგში იარაღის დამზადებას შევუდგებოდით. რამდენი ძირი საუკეთესო, ნორჩი და ლაღად მოზარდი თხილის, შავრცხილის, შვინდისა და კუნელის ხე ეწირებოდა მსხვერპლად ჩვენს თამაშს. ვცდილობდით,რაიმე იარაღი გვქონოდა,მაგარი და გამძლე. ჩხუბი ყოველთვის ღვინის სმაში ჭინჭყლით იწყებოდა. რომელიმეს დასწამებდნენ, რომ ყანწი არ გამოცალა, ან სასმისი საერთოდ აიცდინა. ბრალდებული ამტკიცებდა, შევსვიო. მას დამცველები გამოუჩნდებოდნენ. ბრალმდებელსაც გამოექომაგებოდა რამდენიმე სტუმარი და ატყდებოდა ჩხუბი, ჯერ ხმამაღალი შელაპარაკებით, მერე ჯერი მიდგებოდა ხმალ-ხანჯლებზე. დავიწყებდით კენწლაობას, ზოგი ჩვენგანი ჩინებული მოფარიკავე იყო და კარგად ხმარობდა იარაღს. ზოგმა მხოლოდ მოგერიება იცოდა, ახლოს არ მიგიკარებდა. ასეთებს ოსტატები ჯერ აფრთხილებდნენ, ხოლო თუ არ შეცვლიდა ბრძოლის მანერას, მის მოქნეულ იარაღს მოხერხებული შემხვედრი ოსტატურად გადაუმტვრევდა ან ხელიდან გააგდებინებდა.

ბრძოლას ისე გავახურებდით ხოლმე, ისე მონდომებითა და გატაცებით შევებმებოდით ერთმანეთს, რომ თავს არ ვიზოგავდით. ყველას სწყუროდა მტრის დამარცხება. ამ თავდავიწყებით ბრძოლის დროს ხშირი იყო უნებლიე მარცხი, ცხვირის, შუბლის და ლოყების დალილავება, თავზე კოპებს კი ვერ დაითვლიდით. მებრძოლ ვაჟკაცს ცრემლი არ შეჰფეროდა, მაგრამ ზოგჯერ ტკივილი ისე მწარე იყო, რომ ცრემლის სალბუნი აუცილებელი ხდებოდა. იმპროვიზებული ჩხუბი ხშირად ნამდვილშიც გადაზრდილა და თუ უფროსები იმავე დღეს არ შეგვარიგებდნენ ხელის ჩამორთმევით, დამდურებულები ვბრუნდებოდით სოფელში. გულში შერიგება მოუთმენლად გვინდოდა, მაგრამ თუ მესამე პირი არ ითავებდა ამას, გამოლაპარაკების ინიციატივას არც ერთი მხარე არ კისრულობდა, რომ თავი არ დაგვემცირებინა.

ეხლა მიკვირს, როგორ ვბედავდით და არ გვეშინოდა ისე თავისუფალი სირბილი გამოქვაბულებს შორის კლდეზე დაკიდებულ ბილიკებზე. გამოქვაბულები ერთმანეთს ვიწრო ბილიკებით უკავშირდებოდა. მცირე გაუფრთხილებლობა ან ფეხის წამოკვრა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ჩვენ კი ისე არხეინად დავქროდით გამოქვაბულიდან გამოქვაბულში, გეგონებოდათ აბიბინებულ მინდორში დარბიანო. ჩემი ბიძაშვილი არესტი სამი ამხელა სიმაღლის ფოღონა კლდის შვეულ კედელზე სუროს ხვიარას შეჰყვა და ავიდა. ალბათ, ჯიხვებიც ასე სწავლობენ თვალშეუდგამ ფრიალოებზე ნავარდს.

არ გეგონოთ, რომ ჩვენი წარმოდგენები გამოქვაბულებში მუნჯურად მიდიოდა. არა, ბატონებო! აქ იმართებოდა სახელდახელოდ გამოგონილი დიალოგები,რომელთა შინაარსი და ფორმა ვითარების შესაფერი უნდა ყოფილიყო. მთავარი როლების შემსრულებლები ამაში დახელოვნებულები იყვნენ. ხომ არ გგონიათ, რომ ვაჭეველ ბავშვებს ან მათ მშობლებს, თეატრის, პიესების, ან მსახიობთა არსებობის შესახებ რაიმე გვსმენოდეს. ასეთ რამეებზე წარმოდგენაც არა გვქონდა. სხვისი მიბაძვა, გაჯავრება (ზემოიმერულად ცინება) გვართობდა, უხეირო მიბაძვა კიდევ უფრო გვამხიარულებდა. ჩვენი წარმოდგენების გმირები ვაჭეველები იყვნენ თავისი ავ-კარგით, ჭირით და ლხინით, დღესასწაულებითა და ქორწილ-ნიშნობით, ნათლობითა და აღაპით. სოფლის გარეთ რა ხდებოდა, ჩვენთვის უცნობი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ წარმოდგენებში გაფიცვასა და ბუნტსაც ვუთმობდით ადგილს. ზაფხულობით იმპროვიზაციებს სახელდახელოდ მოწყობილ „მაღაროებსა“ და „ქარხანაში“ ვმართავდით. სასწორიც არ გვავიწყებოდა – ვიღაც იაგორა მარგალეიშვილი ყოფილა ცნობილი მწონავი, რომელიც მეურმეებს წონაში ატყუილებდა.

ბექობში მაღაროები ითხრებოდა და გამოღებული შავი ქვა ქარხნებისკენ მიჰქონდათ მეურმეებს. მათ შორის პირველი შეჯახება სასწორთან ხდებოდა – ყველას წინ უნდოდა გასვლა. სასწორის

შემდეგ მარგანეცი „ნასი პზე" (ნაყარ გორებზე) უნდა აეტანათ. ეს კიდევ უარეს ვაივაგლახს იწვევდა. ვისაც კარგი ხარები ჰყავდა, ის ადვილად ადიოდა მარგანეცის ყრილზე, გადაჯეგავდა ხოლმე სხვებს, თავისზე სუსტებს. ამგვარად ვიმეორებდით იმას, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

რეჟისურა ეკუთვნოდა ოცი წლისა და მეტი ხნის ყმაწვილებს. ისინი გვასწავლიდნენ ყველაფერს, რაც თვითონ ენახათ ან თავს გადახდომოდათ. გვათამაშებდნენ და თვითონაც გულიანად ერთობოდნენ. უეცრად ქარხანა ჩერდებოდა,უდროოდ გაისმოდა საყვირის ხმა,მუშები გამოდიოდნენ, ერთად შეჯგუფდებოდნენ და იწყებოდა გაფიცვა: კრებას აწყობდნენ, ორატორი სიტყვით გამოდიოდა, მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, რვასაათიან სამუშაო დღეს, ბინებს მუშებისა და ხარებისთვის... კრებას თავს ესხმოდა პრისტავი სტრაჟნიკებით, ორატორს აპატიმრებდნენ, ეძებდნენ მეთაურებს, იწყებოდა შეტაკება... მერე მეთაურებსაც აპატიმრებდნენ, ასამართლებდნენ, უსჯიდნენ ციხესა და გადასახლებას. პატიმრები გაქცევას ახერხებდნენ, ტყეში იმალებოდნენ და იბრძოდნენ... ამგვარ ინსცენირებაში 30-40 კაცი მონაწილეობდა და 6-7 საათი გრძელდებოდა.

მახსოვს რეჟისორების მაღალიდეური მითითებებიც: – რას ბჟუტურობ, ბიჭო, შენე! აგრე იტყვის ახლა მაგას პრისტავი? ბოხი ხმით და გაწყობილად უნდა თქვა სათქმელი.

– ედია! რას ეღლაბუცები მაგას? კედია პრისტავმა არ დაგინახოს თუ არა, ახლავე აგიყვანს სტრაჟნიკად, ღვეთქე მაგას!

– ტონია! არ ვარგიხარ ბიძია შენე გიორგი აბაშიძედ, ქამარში რომ გაგირჭვია ეგ ლივერი, ამეიღე და ხახაში დოუმიზნე საბიას იმასავით.

– შენ კიდე ბიჭო! რომ იყინჩები გოშტიურის მამალივით,ბაბუაშენი და მამაშენი აგრე მივიდოდნენ ბატონთან? ხუთად მოკაკული იყვნენ ალბად, აპა?

– შე კაცო! მამაშენს მისდღემჩი ოჩანი ხარები ჰყავდა, შენ საიდან გამოგივიდნენ ასეთი ფიცხები, რომ ყველა გადათელ-გადმოთელე და წინ გავარდი?

– სარდიონა ბიჭო! ეგ რა გიქნია, ხორუალას ბოსტნის ღობეს სარები სულ ამოაცალე?

– ამდენი თოფ-იარაღი თუ ვერ ზიდე, რად გინდა ბიძია?

ასეთი მსუბუქი, უწყინარი და მოხდენილი ნაკვესების დიდი ოსტატი იყო ანტონ გლოველი. იგი უფროსი თაობის ახალგაზრდა იყო, მაგრამ მისი ასაკის ბიჭები ჩვენთან ერთად სიამოვნებით თამაშობდნენ განსაკუთრებით კი ისეთ ინსცენირებებში, როდესაც ბატონყმობა და მრეწველობა გათამაშდებოდა ხოლმე, რადგან პატარებს ჯერ უშუალოდ ასეთები არ გვენახა. ანტონის თაობიდან იყვნენ: ბიჭოლას აბესალა, გიორგის ერემია, ბესუას პართენა, ალექსის სეითია, პავლიკას ალექსია, როსაპას მელიტონა და ლალია, პავლიას ილიკო, გრიგოლას ბიქტორა, კიკოს კოსტია, გიორგის სეფია და კიკოს თედია. თავს ვიყრიდით და ერთად ვთამაშობდით ჩვენი წყაროს წყლის მსმელი უბნები: გლოველები, გივიშვილები, დათილისანები, ძაღლუკისშვილები და უზანაშვილები.

თამაშით გატაცებულებს გვავიწყდებოდა, რომ ხარები და ძროხები უნდა გაგვერეკა საძოვრად. ეზოებში დაბმული საქონლის ბღავილი და დედების ძახილი ერთბაშად გამოგვაფხიზლებდა და გაგვახსენებდა,რომ ეს მხიარული თამაში ბევრისთვის შეიძლებოდა ცრემლებით დამთავრებულიყო.

დასახლება

ჩვენი სახლი სოფელში წერეთლიშვილების შემდეგ მეორედ ითვლებოდა, მაგრამ გარედან თუ მტერს უყენებდა თვალს, შიგნით შესვლისას მოყვარეს უბნელებდა თვალს, რადგან არცერთი ფანჯარა არ ჰქონდა და საერთოდ მოუწყობელი იყო. აივანი ჩრდილოეთისკენ იყო მიქცეული და მთელი ზამთარი მზე არ ადგებოდა.

სახლი ასე თუ ისე გვქონდა,მაგრამ დედაჩემის ნამზითვის მეტი არაფერი გაგვაჩნდა – სპილენძის სამი ქვაბი, ორი ტახტი და ერთი კამოდი, კარგი ლოფინი, დუჟინი ლეიბი, საბანი და ბალიში.

რამდენი რამ არის საჭირო ახალი ოჯახის მოსაწყობად: მაგიდა, სკამი, კარადა, ჯამი, ჭიქა, ჩაფი, კეცი, დერგი, ქოთანი, როდინი, ქვასანაყი, ჯარა, საჩეჩელი, საცერი, სამტკიცი, ცხრილი, ჩხაკი. ახლად დასახლებული კაცისთვის ყველაფრის შეძენა ერთბაშად ძნელი იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს სოფელ ხრეითიდან კახეთში გადასახლდა დეიდაჩემ ირინეს ოჯახი.

დეიდაჩემის ქმარი,ოქრუა შეყილაძე (გელიტაშვილი),ზემო იმერეთის პირობაზე,კარგი მცხოვრები იყო. ხის ხელობა იცოდა, ზამთრობით არ ცდებოდა, სახლებს აშენებდა. წისქვილისა და ურმის გამართვაც ეხერხებოდა. ხუთი ვაჟისა და ორი ქალის მშობლები მიწის სივიწროვემ შეაწუხა და კახეთში გადასახლება გადაწყვიტეს. უძრავ-მოძრავი ქონება მეზობლებზე გაყიდეს. იმერული პატარა ჩოჩიალა ურემი მამაჩემმა იყიდა და მასთან ერთად ყველა საოჯახო წვრილმანი, რისი წაღებაც ვერ შეძლეს. ამ შემთხვევამ საკმაოდ გაგვამდიდრა საოჯახო ინვენტარით, იმდენად, რომ მეზობლებისგან აღარაფერს ვნათხოვრობდით, პირიქით, ჩვენგან მიჰქონდათ ბევრი რამე. მიხაროდა, რადგან მოისპო მიზეზი, ამ ნიადაგზე დედ-მამა შელაპარაკებულიყო.

– კაცო! როდემდის უნდა ვიყიალო მეზობლებში როდინისა და ქვასანაყის სანათხოვროდ, – იტყოდა დედაჩემი.

– ქალო! ნუ დამახრჩობ ამ ორ დღეს, მაცალე, გიყიდი და მოგიტან, – პასუხობდა მამაჩემი.

– წელიწადია აგრე მპირდები და ყიდვით კი არ ყიდულობ.

– ერთ დღეს არ აშენებულა ეს ქვეყანა, შე დალოცვილო. თანდათან შევიძენთ ყველაფერს, ნუ გეშინია.

საუბარი ხშირად მწვავდებოდა. ერთი მკვახე სიტყვა თოვლის გუნდასავით აგორდებოდა, გადიდდებოდა და მძიმედ დაგვაწვებოდა გულზე დიდსა და პატარას. ჩხუბი და სერიოზული უკმაყოფილება მშობლებს შორის არ მახსოვს, მაგრამ მათ შორის პატარა უსიამოვნო შელაპარაკებაც კი მთელ დღეს მიწამლავდა. უბრობა მხოლოდ საათები თუ გრძელდებოდა, მაგრამ მე ეს დრო საუკუნედ მეჩვენებოდა.

ხარები

მამამ ჩხარის ბაზარზე შეიძინა ერთი უღელი ხარი, ორივე უნიშნო და შავი. ერთს გულა ერქვა, მეორეს – კოხტა. კარგად გახედნილნი და თვინიერნი გამოდგნენ, რქენა და წიხლი არ იცოდნენ. რა შეედრება იმ სიხარულს,რაც ხარების შეძენამ მე და ჩემს ძმას,ვანოს,მოგვანიჭა? კისერზე ვეხვეოდით, ყურის ძირებს და შუბლს ვფხანდით, კუდის ბოლოს ვუვარცხნიდით და თვალის უპეებს ვუწმენდდით. ხარები გრძნობდნენ ჩვენ სიყვარულს და სამაგიეროს გვიხდიდნენ სიმშვიდითა და მოთმინებით. თავსაც კი არ გააჭნევდნენ, მათთან რომ ვიყავით. კოხტა უფრო ფიცხი იყო, სიახლოვეს არავის გაიკარებდა, განსაკუთრებით ჭამის დროს. ვანო პატარა იყო, ახალი ფეხადგმული, ძლივს მიბაჯბაჯდებოდა ეზოში მწოლიარე ხარებთან, ცხვირპირში უძვრებოდა, ყურებზე ჩამოეკიდებოდა. ხარები თავს არ ანძრევდნენ და ენით ხელებს ულოკავდნენ. დედას გული უსკდებოდა, ეშინოდა ბავშვს არაფერი მოსწიონო, მაგრამ ვანო დროს იხელთებდა თუ არა, ხარებთან მიჩოჩდებოდა. ერთხელ დედამ ხელში აიყვანა ვანო, თან გულიანად იცინოდა,– შეხედე, გულას როგორ აუსლაქავს ქოჩორი ბავშვისთვის, – უთხრა მამას. თურმე ვანო მისულა, ხარების შუაში, მათი მოფერებით გულნაჯერს, თამაში გაუმართავს. გულასაც დრო უშოვია და ხაოიანი ენით ულოკია ბავშვის ოქროსფერი თმა. ეს ამბავი სოფელს მოედო და ცოტა ხანში კუდიც გამოება,– მატრონა ბიცოლა ბავშვებს პირს რომ დაბანს, თმის დასავარცხნად ხარებთან აგზავნისო.

ჩვენს ბედნიერებას ერთი ძროხაღა აკლდა. ყველს ვყიდულობდით – მამას ოსური ყველი მოჰქონდა ჭიათურიდან, რაც იაფი იყო. რძეს თამარა ბიცოლა მოგვიკითხავდა ხოლმე. სამ მოსახლეში ძროხა მხოლოდ ბიძია მათიას ჰყავდა. ზაფხულობით დილით ბიცოლა ძროხას ჩვენს აივანთან წველიდა. ქოთანში რძის შხრიალის ხმა არ გამომეპარებოდა,წამოვხტებოდი ლოგინიდან პერანგის ამარა,ფეხშიშველი,დავავლებდი ხელს ჩაის ჭიქას,ფეხაკრეფით მივეპარებოდი ბიცოლას და მის უკან ჩავცუცქდებოდი. წველას რომ მოათავებდა და ხბოს ასაშვებად მობრუნდებოდა, ჭიქას მივაჩეჩებდი ხელში. მოულოდნელობისგან ერთს შეჰკივლებდა, ვაი! შენ არ მოუკვდი შენ დედას მიდღემჩი! რავა ციყვივით წამოსკუპულხარო! გადაიკისკისებდა და რძით ამივსებდა ჭიქას. თბილ რძეს იქვე, სულმოუთქმელად გადავკრავდი.

ოქრუასეული ურემი ყველას მოსწონდა, მორგვი და რიკები საგულდაგულოდ ჰქონდა ნაკეთები, ზედადგარზე ამბობდნენ, ლეკის ხისგანაა. ღერძიც ხის იყო (რკინისა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შემოვიდა), თვლებიც საიმედოდ შემოჭედილი. მუხრუჭები, ეხლანდელთან შედარებით, პრიმიტიული იყო. მეხრეს თუ მკლავი ღონიერი ჰქონდა, ურმის შეჩერებას მოახერხებდა და

მარხილად აქცევდა. ჩვენში კი, სადაც დაღმართები ხშირია, ეს აუცილებელია, რადგან იმის საშიშროებაა, ურემმა ხარებს აპეურები არ დაუწყვიტოს და უღელი თავზე არ გადააძროს, თორემ ხარის ან კაცის მარცხი გარდაუვალი იქნება.

მამამ ძარა მოწნა, ურემს მოარგო და სანამ შეშის მოზიდვისა და მოსავლის აღების ალო დადგებოდა, ფულის საშოვრად წავიდა ჭიათურაში.

იმ დროს გაუმდიდრებელ მარგანეცს მაღაროდან პირდაპირ ეზიდებოდნენ ზესტაფონში. ვისაც საიმედო ხარ-ურემი გააჩნდა, ბედავდა ასეთ შორ მანძილზე ტვირთის ზიდვას. ჩვენი სოფლიდან ათიოდე მეურმემ, და მათ შორის მამამაც, გაბედა. რგანის მაღაროებიდან მარგანეცი ვარხმელას გზით, კაცხის, ჯოყოეთის, რკვიის, დილიკოურის და საქარის გავლით მიჰქონდათ ზესტაფონამდე. გზები დახრამული იყო, ოღრო-ჩოღრო, ტალახიანი. იმერულ ურემს ერთ გზაზე ღონიერი და მუხლმაგარი ხარებით 60 ფუთის ჩატანა შეეძლო. რგანიდან ზესტაფონამდე ერთი ფუთი მარგანეცის ჩატანა 7-დან 10 კაპიკამდე ღირდა.

ერთ კვირაში ხარ-ურემი ერთი გზობის მეტის გაკეთებას ვერ ახერხებდა: რგანიდან ზესტაფონამდე 40 კილომეტრამდე მანძილია და ხარებს აქეთ-იქით 80 კილომეტრის გავლა უხდებოდათ. უკან მობრუნებული მეხრე ცარიელ ურემზე მაინც დაჯდებოდა, ხარები კი ისე იქანცებოდნენ, რომ უღლიდან გამოშვებულებს, ბალახის ძოვის თავიც აღარ ჰქონდათ, დაწოლა და დასვენება ერჩივნათ. ბავშვები ამას ვხედავდით და ზესტაფონიდან დაბრუნებულ ხარებს ალერსსა და მსუყე ბალახს არ ვაკლებდით. ხარებს მამაჩემი წყაროზე საპნით ბანდა, შვილებივით უვლიდა. ხარებიც ძმებივით ედგნენ გვერდში და მძიმე ტვირთი შეუმსუბუქეს.

რკინიგზის გაყვანამდე ჭიათურის მარგანეცი სამი გზით გადაჰქონდათ: დიდწიფელა-დილიკოურის გზით ზესტაფონამდე, ულევის გზით შორაპნამდე და ჭერათხევის გზით გომამდე. მარგანეცს ურმით, ცხენებით, სახედრებით და აქლემებით ეზიდებოდნენ.

აქლემები და სახედრები თურქ ჩალვადრებს ჩამოუყვანიათ. ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ ურმით და ცხენით მუშაობდა. ჩამოსულებს გადაზიდვის მაზანდა დაუგდიათ. ჩამოვარდნილა შური და მტრობა. ბზის მოკლე პალოები წაუმახვილებია ქართველებს და ტალახებში დაურჭვიათ წვეტით ზევით. უჩინარ პალოებზე აქლემი დაადგამდა თუ არა ფეხს, უფუჭდებოდა. ამ ხერხით მეტოქე თურქები მოვიშორეთო, გვიამბობდა გოგილოს სარდიონა.

არ მახსოვს მამას ხარისთვის დიდი სახრე დაერტყას. მისი სახრე სამი მტკაველი თუ იქნებოდა. როცა ურემზე იჯდა, ხარს ბარკალზე მოუცაცუნებდა წკნელს, ამით ატყობინებდა, მარჯვნივ თუ მარცხნივ მიწეულიყვნენ. ჩვენებურ ხარს, მარჯვენას და მარცხენას სმენით არ აჩვევდნენ, რადგან მათი უღელში შებმა ყოველთვის ერთსა და იმავე მხარეს არ ხდებოდა და ყოველ შებმაზე მხარეებს უცვლიდნენ. ამით, ერთი მხრივ, მუშა ხარის ორივე ფერდი თანაბრად ვითარდებოდა, მეორე მხრივ, მძიმე დატვირთვის დროს მხარის შეცვლა დაღლილობას ამსუბუქებდა, როგორც თოხნის დროს ხელისა და ბარვის დროს ფეხის შენაცვლება. ხარების გახედვნის ჩვენებური წესი იმითაც იყო კარგი, ორ ცალუღელა მეზობელს ადვილად შეეძლოთ ნათხოვარი ხარები შეეუღლებინათ.

გამიგრძელდა ხარებზე საუბარი. ეს ეხლა ქალაქელებისთვის კი არა, სოფლელებისთვისაც აღარაა საინტერესო. ტრაქტორმა და ავტომანქანამ მუშა საქონელი ჯერ შეამცირა და მოკლე ხანში, ალბათ, სულ ზედმეტად გახდის.

კარგი მეხრე ხარებთან გონივრული მიდგომითა გამოირჩეოდა. რამდენჯერ მინახავს მძიმედ დატვირთული ურემი ტყეში ან მინდორში, უგზო ადგილას, ტალახში ისე ჩაფლული უყევაროდ, რომ შეუძლებელი იყო მისი დაძვრა. ასეთ შემთხვევაში მამა გავიდოდა ხარების წინ, ოდნავ დაახევინებდა, შეასვენებდა, თავზე ხელს გადაუსვამდა ორივეს. რამდენიმე წუთს ასე შეჩერდებოდა, შემდეგ უღელს სამატთან ცალ ხელს დაადებდა, მეორე ხელით ლოტბარივით წკეპლას ასწევდა და დასძახებდა: აპა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ! ამ სიტყვებზე ხარები წინა მუხლებზე დაიჩოქებდნენ და თუ უღელი არ გატყდებოდა და სამატიც გაუძლებდა, ურემიც დაიძვრებოდნენ.

მამა ხარებს ისე ელაპარაკებოდა, როგორც ადამიანებს.

— აი, შენ შეგარცხვინა ღმერთმა! სად იპოვე ასეთი ტყლაპო, რომ ამოთხუპნულხარ მუცლიან-

ფეხებიანად.

ან კიდევ:

– შე უგამჩენო! კიდე გადი პარე ხომ ვარდოს ბოსტანში! რავა აქოთებულხარ პრასისა და ჭლაკვის სუნად! საცა არის, მოგვივარდება, ვინ დოუდგება ახლა იმას?

– მაამო! – დაიძახებდა თუ არა მამაჩემი, ხარები იმავ წუთს ადგილზევე მიასობდნენ ფეხს. ჩემი ძმა ვანო თუ ცოცხალია, სწორედ მამაჩემის მეხრეობის დიდ ოსტატობას და ამ ერთი შეძახილის სასწაულებრიობას უნდა ვუმადლოდეთ. შემთხვევა ხერგულზე მოხდა გუფთა წყაროსთან. აქ ორ ყორეს შორის ვიწრო საურმე გზა გადის. მეხრე ყორესა და ურემს შორის ვერ ჩადგებოდა, იძულებული იყო ურემს ან წინ ჩასდგომოდა ან უკან გაჰყოლოდა. ჩვენი ურემი სიმინდის ტაროებით სავსე ძარით ამ გზით მიემართებოდა. პატარა ვანო სავსე ძარაზე მაღლა იჯდა, მამა უკნიდან მიყვებოდა ურემს, რომ ბავშვი მხედველობის არეში ჰყოლოდა. მოულოდნელად ურმის ერთი ბორბალი მაღალ ქვაზე აგორდა, ურემი ცალ მხარეს გადაიხარა, ვანომ თავი ვერ შეიკავა, ზარიდან გადმოვარდა და თავით ურმის ბორბალსა და ძარას შორის ჩაერჭო. საკმარისი იყო ბორბლის ერთი დატრიალება, ბავშვის თავი გაჭეჭყილიყო. მამამ შეასწრო თუ არა თვალი, რომ ბავშვი ვარდებოდა, არაბუნებრივი ხმით დასჭექა: მაააამო! ურემი ადგილზე გაშეშდა. მამამ ძლივს ამოჰგლიჯა ბავშვის თავი ბორბლიდან. ვანო უმნიშვნელო ნაფხაჭნებით გადარჩა.

ჩვენს გზებზე ურმის გადაბრუნების შემთხვევები ხშირი იყო. ცუდად გახედნილი ხარები გაჩერების მაგივრად დამფრთხალი გარბოდნენ და ტვირთს ფანტავდნენ. გულა და კოხტა, თუ ურემი გადაუბრუნდებოდათ, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიდნენ. არაფერი არ აფრთხობდათ: ზოგ ხარს ძაღლი აშინებდა, ჩვენი კოხტა კი, რაც უნდა ავი ძაღლი გამოვარდნოდა გზაში, თავს დაღუნავდა და რქებით ისე მედგრად შეუტევდა, რომ ძაღლი კუდამოძუებული, წკავწკავით ეზოს შეაფარებდა თავს.

რამდენი წუწკი ხარი და ძროხა იყო ჩვენს კუთხეში, მაგრამ ბიძია მათეს ხარი, ჯორა, პირდაპირ გვაოცებდა: საკმარისი იყო, რამდენიმე წუთით თვალი მოგეშორებინა, რომ ის უკვე ყანის შუაგულში იყო. ჩვენი ანტონა ირწმუნებოდა, ჯორა ისეა გაეშმაკებული, თავი მწყემსისაკენ როცა აქვს მობრუნებული, უკუღმა სიმინდის ან ფეტვის ყანისკენ მიდისო. სიმინდი მაღალი იყო და ჯორა არ ჩანდა. ათჯერ რომ გაგევლო მის გვერდზე, ვერ შეამჩნევდი. ადამიანის მიახლოებისას მწყერივით გაინაბებოდა და სიმინდის ფოთოლსაც კი არ გაარხევდა. დავრბოდით და ვყვიროდით, ჯორა, შე სამგლე, სადა ხარ, შენ დაგკლა ძაღლებმაო. ის კი სანამ კარგად არ გაძღებოდა, ყანიდან არ გამოვიდოდა.

ჩვენი გულა და კოხტა სხვანაირები იყვნენ: ჭკვიანები, დარბაისლები, კეთილები, არასოდეს არ ი პარებოდნენ შორს ან უცნობი ადგილისკენ, თვალს თუ მოეფარებოდნენ, დავიძახებდი, გულა, კოხტა, სადა ხართ, სად წახვედით-მეთქი. გაიგონებდნენ თუ არა, იქვე გაჩნდებოდნენ. პირველი ყოველთვის გულა მოდიოდა, უკან კოხტა მოსდევდა. როცა ყანისპირში ვაძოვებდი, კოხტას სიწუწკე წასძლევდა და სიმინდის ტაროს უეცრად ჩამოტეხავდა. ვეცემოდი, ტაროს პირიდან გამოვგლეჯდი და გულას შევაჭმევდი, თანაც დამნაშავეს სასტიკად გავლანძღავდი.

ორივე ძალიან მიყვარდა, მაგრამ გულა რაღაცნაირად მეტად, გამორჩეულად. იგი არასოდეს არ სარგებლობდა ჩემი პატარაობითა და სისუსტით, მემორჩილებოდა, მიჯერებდა და ამით მწყემსობასა და მეხრეობას შეურცხვენლად და უმარცხოდ მასრულებინებდა.

კოხტა პირველ ხანებში მეურჩებოდა, ამიგდებდა, გამექცეოდა ხოლმე და სიმინდის, ფეტვის ან ღომის ყანაში გადამიხტებოდა, სირბილით ტყლი პს გამისივებდა და ამატირებდა. გულა ასეთ უსაქციელობას არასდროს ჩაიდენდა. კეთილშობილება თანდათან კოხტასაც გადასდო და ისიც გამოასწორა. ასე რომ არ მომხდარიყო, რვა წლისა ვერაფრით შევძლებდი საწალიკის მთიდან შეშით დატვირთული ურმის მეხრეობას. დროის სასწორი საშუაღამეზე რომ გადმოვიდოდა, მაშინ უნდა წავსულიყავით მთაში, მე ხარების უღელში შებმა არ შემეძლო და ამ საქმეს დედა აკეთებდა. მამა კი ამ დროს შეშას ამზადებდა მთაში.

პირველი ნაწილის დასასრული.